ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელზე, ედიშერ თოლორაიაზე, „ბიზნესკურიერიო“ გასულმა სიუჟეტმა ზუგდიდელების უდიდესი ნაწილი აღაშფოთა. ტელეფონში ზარები არ წყდებოდა ჩემთან, გავიდეთ ქუჩაში და დავასრულოთ ამ ფაშისტ-ნაცების თავხედობაო. თქვენ, ნაცისტებო, თოლორაიას ნუთუ იმაში ადანაშაულებთ, რომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ზუგდიდში სისხლის ღვრა არ ყოფილიყო? ნაცისტებო, ერთი მიზეზდეთ უკან, რა გაგიკეთებიათ თქვენ ქალაქის თუ სოფლისათვის გარდა დაჭერებისა, გაუპატიურებებისა. თქვენ იმ ხალხს აწინაურებდით, ვინც



ირანდა კალანდაძე 593 56 11 18

საწარმო, რომელიც 2015 წლის ივნისიდან ამოქმედდა.

2014 წელს სახელმწიფო მხარდაჭერით განხორციელდა მეციტრუსე ფერმერების სუბსიდირება, სტანდარტული და არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციაზე.

2013 წელს სახელმწიფო მხარდაჭერით განხორციელდა მანდარინის იაპონური ჯიშების სადემონსტრაციო ნაკვეთის გაშენება 4000 კვ. მ-ზე.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა ახორციელებს 5 პროექტს.

დაგეგმილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საცდელი სანერგე მეურნეობის მოწყობა ოზურგეთსა და ჩოხატაურში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და მუნიციპალური ბიუჯეტით ლიხაური-ჭანიეთის საზღვარზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4.5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე უნიკალური, გურული ვაზის 60-მდე ჯიშის გამრავლების მიზნით სანერგე მეურნეობა მოეწყო.

2015 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კომპანია „კავკასიის გენეტიკას“ შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე დაიწყო ღორის მრავალპროდუქტიული ჯიშების ხელოვნური განაყოფიერების დაწესება. უკვე დასრულდა მეღორეობის ლაბორატორიის მშენებლობა, რომელიც ოქტომბრის თვიდან დაიწყებს ფუნქციონირებას.

— ჩაის კულტურის აღორძინებას თუ აპირებთ?

— ჩაი ერთ-ერთი მოთხოვნადი და ძვირადღირებული კულტურაა.



სუფსა-გულიანის გზა

რას. გურიის რეგიონის ნიადაგ-კლიმატური პირობები კი ჩაის კულტურის განვითარებისათვის საუკეთესოა. ჩაი შეიძლება ერთ-ერთ სტრატეგიულ კულტურად განვიხილოთ, როგორც საქსპორტო პროდუქტის მომცემი. გურიის რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შეიძლება ვაწარმოოთ საუკეთესო ხარისხის ჩაი. ამ მიმართულებით დიდი წვლილი შეიძლება შეიტანოს იმ სამეცნიერო პოტენციალმა, რომელიც ჩვენს რეგიონს გააჩნია.

— გურიის რეგიონს საინტერესო ტურისტული პოტენციალიც გააჩნია.

— გურიის მხარის განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს

წარმოადგენს ტურიზმის განვითარება. ამ მხრივ ბევრი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტი განხორციელდა და ხორციელდება. აღსანიშნავია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმატება, რომელმაც ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და რეგიონის ტურისტული კერების პოპულარიზაციისთვის 475 000-ევროიანი გრანტი მოიპოვა. „ტურისტული პოტენციალის კვლევისა და მონაცემთა ბაზის შექმნისთვის“ ჩოხატაური ათ საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა.

დაჯილდოების ცერემონიალი კონფერენციაზე „ადგილობრივი თვითმმართველობა - საუკეთესო პრაქტიკა 2015“-ის ფარგლებში გაიმართა.

მიმდინარე წელს იგეგმება ურეკისა და ბახმაროს განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავება.

— რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს?

— მიმდინარე წელს დასრულდება 10 000 ადამიანზე გათვლილი ურეკის საკონცერტო დარბაზის მშენებლობა. დაწყებულია ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების კომპლექსის მშენებლობა ურეკში.

კურორტ „ბახმაროში“ ინვესტირებით გერმანელი ბიზნესმენი არის დაინტერესებული, რომელიც უკვე იმყოფებოდა კურორტზე და ადგილზევე გაეცნო იქ არსებულ ვითარებას, მანვე მოამზადა კურორტის განვითარების მისეული ხედავა და წარმოუდგინა გუბერნიას.

— უახლოეს მომავალში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ რას გვეტყვით?

— რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეპფ) დაფინანსებით 2016 წელს

განხორციელდება 36 პროექტი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 400-მდე პროექტი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 50-მდე პროექტი.

2016 წლის ბოლომდე დაგეგმილია 3 ბაღისათვის ახალი შენობის მშენებლობა სოფელ ოზურგეთში, სოფელ ღესასა და სოფელ ნიგოთში, წლის ბოლომდე მოხდება ერთი ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია სოფ. შუხუთში.

ეს არის ძალიან მოკლე, რაც გავაკეთეთ და რის გაკეთებასაც ვგეგმავთ უახლოეს ხანებში.

— წარმატებებს გისურვებთ!

ირანდა კალანდაძე 593 56 11 18

საქართველოს საზღვრების ბნელი, ანუ კრიმინალური სპრელები



პერიოდში სამხედრო პოლიცია, „მხედრონი“ და ვინ აღარ იდგა საზღვარზე გაჭიმული თოკით, თანაც იმ ადგილზე თითქმის შეუძლებელი იყო საზღვრის კონტროლი, ამიტომ 1993 წელს საკონტროლო-გამტარი პუნქტის საზღვარმა 800 მეტრით ამოწია ჩვენს ტერიტორიაზე. ეს ე.წ. მაკონტროლებლები ამ პუნქტის, ანუ საქართველოს ტერიტორიის ოფიციალური ზოლის მიღმა აღმოჩნდნენ, ეს როგორც კი დაინახეს რუსებმა, ისინი გარეკეს და თვითონ ჩადგნენ. სამწუხაროდ მაშინ არ იქნა გათვალისწინებული ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპი. არის ასეთი ტერმინი, საზღვრის რექტიფიკაცია, როცა მუშაობდა სახელმწიფოებმა შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებას, ერთ-ერთი მათგანის ტერიტორიაზე შერჩეული იქნას უფრო მოსახერხებელი ადგილი და იქ გააკეთონ საკონტროლო-გამტარი პუნქტი, სადაც მოხდება ერთობლივი დათვალიერება. ასეთ ადგილად ლარსის მიმართულება შეირჩა და ვფიქრობდით, რომ ასეთი პუნქტი გაკეთდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ყოველთვის თან სდევს კრიმინალური ბიზნეს-ინტერესები. ამ 800-მეტრიანმა მონაკვეთმა მავანთ ერთგვარი სარფიანი წყარო გაუჩინა, კონკრეტულად ვერ იტყვი ვის, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ფულის კეთებითა თუ „გათეთრებით“, რომლებსაც ალბათ ზემოდან ვიღაც მფარველობდა. ახლა რა ხდებოდა - ჩვენს სახელმწიფო საზღვარს საქართველოს მხრიდან კვეთდა დატვირთული ტრალიერი (მისაბმელიანი სატვირთო ავტომანქანა), ამ 800-მეტრიან მონაკვეთზე რუსეთიდანაც გადმოდიოდა ტრალიერი, ჩაბაბდა ამ საბარგულს და უკან ბრუნდებოდა, ანუ ისე გადიოდა ტვირთი რუსეთში, რომ იქაური მძღოლი არ იხდიდა საგზაო და საბაჟო გადასახადს. იგივე მდგომარეობა იყო „წითელი ხიდის“ მდამოკლებშიც, სადაც ასევე ხელოვნურად შეიქმნა ე.წ. ნეიტრალური ტერიტორია. 1938 წლის დოკუმენტების მიხედვით, როდესაც მოხდა მოკავშირე რუსუბლებს შორის საზღვრების გამიჯვნა, საზღვარი ფოილოს ხიდთან (სარკინიგზო ხიდი) გადმოვიდა (შიხლის რაიონი აზერბაიჯანის სსრ). მერე დროთა განმავლობაში

მას შემდეგ 25 წელი გავიდა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა, თუმცა დღემდე არ მომხდარა ჩვენი ქვეყნის საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაცია. რატომ ვერ მოიცავდა საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის განსახილველად და პრობლემის მოსაგვარებლად? აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს რომ თავი დავანებოთ, რატომ არავინ ინტერესდება რა ხდება საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის საზღვრებზე? ამას იმ პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის და ყურნაღისტების გასაგონად ვამბობთ, რომლებიც მხოლოდ მაშინ აწიოკდები-

რომლის რეალიზებასაც 1993 წლიდან თითქმის 1998 წლამდე ახდენდნენ.

გელა ხუციშვილი: „საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობას 1993-დან 2000 წლამდე ვიკავებდი, მერე დისერტაცია დავიცავი და სამხედრო აკადემიაში გადავედი სამუშაოდ, თუმცა დეპარტამენტიდან ჩემი წასვლა, უფრო სკანდალურ ისტორიასთან დაკავშირებით მოხდა. შატბის თემის სოფელი ფიჭვნი საქართველოს სივრცეში შემოვიტანეთ, თუმცა შემდგომ ისევ გაღმა მხარეს დარჩა, ამის შემდეგ დაიწყო მსჯელობა იყო თუ არა ეს სოფელი საქართველოს

თუ არ ვცდები მიხეილ უკლება, ხოლო სომხეთის მიმართულებას გეგა ბურდული. შემდგომ გადაწყვიტეს ერთი პირისთვის დაექვემდებარებინათ და შექმნეს სახელმწიფო სადელიმიტაციო კომისია, რომლის ხელმძღვანელს პარლამენტი ამტკიცებდა. მაშინ კომისიას სათავეში, კანდელაკი ჩაუყენეს. იყო ზღვა მასალები, მაგრამ საქმის უდიდესი სპეციალისტის, მართლაც ენციკლოპედიური ცოდნის მქონე პიროვნების ჯანსუღ კეკელიას წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად ყველაფერი დასრულდა. სასაზღვრო უწყება წლების წინ სასაზღვრო პრობლემატიკაზე თეორიულ სფეროში მომუშავე ბევრმა პროფესიონალმა დატოვა, ერთადერთი მანანა ხვედელიძე დარჩა, რომელიც დღემდე მუშაობს, მან გამოაქვეყნა თავის დროზე სასაზღვრო წყაროების შესახებ ნაშრომი. რაც შეეხება სახელმწიფო საზღვრის ოპერატიულ-ტაქტიკურ მართვას, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ პროფესიონალი სპეციალისტი თითზე ჩამოსათვლელი დარჩა. თუ სიმართლეს არ ვამბობ, შემეძლო. წლები გადის და სახელმწიფოში საზღვრის თემატიკასთან დაკავშირებული არაფერი ხდება. არაერთხელ მითქვამს ის, რაც ცოტა ხნის



ან ხოლმე, როცა შიდა ქართლში მავთულხლართების გადმოწევის შესახებ შეიტყობენ. ამ შემთხვევაშიც მათი „პატრიოტობა“ იმაში გამოიხატება, რომ პლაკატებით „ესტუმრებიან“ „შემთხვევის ადგილს“, ტელეკამერების წინ ცოტას წაიკეკლუცებენ და მეორე დღეს აღარაფერი ახსოვთ. საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებულ კითხვებზე, შევეცადეთ პასუხი პროფესიონალისგან მიგვეღო. გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, პოლკოვნიკი გელა ხუციშვილი. ჩვენს რესპოდენტს სხვასახვა დროს დამთავრებული აქვს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსკოვის სამხედრო-სასაზღვრო აკადემია და მილიციის უმაღლესი სკოლა. მან ცოტა ხნის წინ სხვა გამოცდილ პროფესიონალებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაცია „სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ დააფუძნა, რომელიც გამოსაცემად ამზადებს შურნალ „ლიმოლოგს“ (საზღვარმცოდნეობა), რომელსაც იმედა, საზოგადოება უახლოეს მომავალში იხილავს. რესპოდენტის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების მთავარი მიზეზი ის ხედავს, რომ



ტერიტორია. ახლა ეს 10 კვ.კმ ფართობის ტერიტორია რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის. იქნებ ჟურნალისტები დაინტერესდნენ სადელიმიტაციო კომისიაში არსებული დოკუმენტაციით, შეხვდნენ და ანგარიში მოსთხოვეს სხენებული კომისიის თავმჯდომარეს, რომლის ხმაც 2013 წლიდან არავის გაუგია. სიმართლე გითხრათ, მისი გვარი არც ვიცი, მეონი, საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილეა. 1995 წელს რამდენიმე სადელიმიტაციო კომისია შეიქმნა, ყველა სასაზღვრო მიმართულებაზე იყო, რუსეთის საზღვრის მიმართულების კომისიას მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე ხელმძღვანელობდა, აზერბაიჯანის მიმართულებას



წინ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ყველა შტოში სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტია. ესენი ან სუფელიორს ელოდებიან, რომ უკარნახოს რა გააკეთონ, ანდა ყველა იმას ფიქრობს ამ ოთხ წელიწადში რა მოასწონს და

მოცოცავს საზღვარი. ჩვენ კი ამ 25 წლის მანძილზე საზღვრების დემარკაციისთვის ვერ მოვიცალეთ, იქნებ თქვენ მაინც იცით, რას ველოდებით?

რაც შეეხება დარიალის ხეობას, ანუ ლარსის მონაკვეთ არავის მიუგვია, იქ სხვანაირად იყო საქმე. იმ განუკითხაობის

ბაში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ამას, ე.წ. წითელი ხიდის მარცხენა მხარეს 400 ჰექტარ (3ა) მიწის ფართობთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ბაშის კულტურა მოეყვანათ. მუშახელის მოზიდვის მიზნით, შიხლის რაიონიდან გადმოიყვანეს რამდენიმე ოჯახი, რომლებმაც დროთა განმავლობაში იქ გარკვეული ინფრასტრუქტურა შექმნეს. 1997 წელს ტასისის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იქნა ორი მილიონი ეკიუ, რაც ითვალისწინებდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის კონტროლს. „წითელი ხიდის“ პარალელურად, მის მარცხენა მხარეს უნდა აშენებულიყო ხიდი, რომელიც შიხლის მიმართულებით უნდა წასულიყო. მე ამ დოკუმენტს გაცნობილი ვარ და როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ხელიც მაქვს მოწერილი. შემდეგ რა მოხდა არ ვიცი, მაგრამ ეს ორი მილიონი ეკიუ ორად გაიყო, ნახევარი აზერბაიჯანს გადაეცა გზის მშენებლობისთვის, ნახევარი ჩვენთან დარჩა, პროექტიც შეიცვალა და ხიდი უკვე ჩვენს მხარეს, მარნეულის რაიონის მიჯნაზე აშენდა, რამაც თავისთავად შექმნა ის გარემოება, რომ „წითელი ხიდი“ თავისი მიმდებარე მონაკვეთითურთ, გაურკვეველი, შეუთანხმებელი ტერიტორიით, გამოუყენებელი აღმოჩნდა. შემდგომ იქ გაკეთდა ბაზარი, რომელიც წლების განმავლობაში უკონტროლოდ იყო. მე არ ვიცი ვინ შემოიღო ტერიტორია, მაგრამ ასეთი ტერიტორია მაინც დამინც ჩვენს ტერიტორიაზე რატომ იქმნება? ძველი ხიდი დაიკეტა და ახლა აზერბაიჯანისკენ მიმავალი მგზავრი და ტრანსპორტი კვეთს საქართველოს საზღვარს, უხვევს „წითელ ხიდზე“ და ისე შედის ამ ე.წ. ნეიტრალურ ტერიტორიაზე. აზერბაიჯანიდან მომავლები კი ისე შემოდიან ჩვენს ტერიტორიაზე, რომ საქართველოს საზღვარს ოფიციალურად აღარც კვეთენ, პირდაპირ შედიან ე.წ. შეუთანხმებელ ტერიტორიაზე. ახლა რა ვითარებაა ვერ გეტყვით, მაგრამ წლების მანძილზე ასეთი უკანონო ხდებოდა. ცნობისთვის, ასეთი შეუთანხმებელი მონაკვეთები ყოველთვის ხდება სახელმწიფოთა შორის დაპირისპირების მიზეზი, რაც შემდგომ კონფლიქტში გადაიზრდება ხოლმე.

ჩვენ ძალზე რთული დემოგრაფიული მდგომარეობა გვაქვს მთელს საზღვრისპირა ზოლში, დაწყებული რუსეთ-აზერბაიჯანის პირისპირიდან, ე.ი. ლაგოდეხიდან მოყოლებული თითქმის პანკისის ხეობამდე მწვანე ზოლი, ანუ ისლამური ზოლი გასდევს ჩვენს სახელმწიფო საზღვარს. საზღვრისპირა და მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ ავარიელები, ლეკები, ლაკები, საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ ხომ ხედავთ როგორ ძლიერდება ისლამური და ვაჰაბისტური მოძრაობა. არსებობს ცნება, დემოგრაფი-

ული და ეკონომიკური ექსპანსია, რომელიც შემდეგნაირად ვითარდება, ჯერ ქაოტურად შემოდის მეზობელი სახელმწიფოდან სხვადასხვა მოსახლე და იკავებს ტერიტორიას, ცოტა მოგვიანებით თავისი სახელმწიფოდან ეკონომიკურ დახმარებას იღებს, ანვითარებს ინფრასტრუქტურას, ძლიერდება, ადგილობრივი მოსახლეობა დასაყრდენს ვერ პოულობს, ტოვებს იქაურობას და მთელ სივრცეს შემოსულები იკავებენ. არ არის გამორიცხული, მოგვიანებით იგივე მოხდეს, რაც წლების წინ ცხინვალის რეგიონში მოხდა. ამიტომაც აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს კონფიდენციალური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების პროგრამა. ჩვენ გენერალ ვალერი ჩხეიძესთან ერთად მომზადებული გეგმონდა შესაბამისი პროექტი, რომელიც ირაკლი შიხაშვილის თავმჯდომარეობის დროს ვეტერანთა დეპარტამენტს შევთავაზეთ, ის აქტიური პიროვ-



ნებაა და იმედი მოგვეცა, რომ რაიმეს გააკეთებდა. შიხაშვილი ყველაფერს კარგად გაეცნო, მაგრამ შემდეგ აღარ გავიკარა, შუაგულ ქართულ სოფელში (გარდაბნის რაიონის სოფელი ლემშენიერა) მიწის ფართობები დაიპყრო და დაიწყო იქ რაღაც დასახლებების შენება, ისრაელიდან თანხების მოხიდა.

ჩვენ ძალიან დიდხანს ვიკავებდით თავს ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე დელიმიტაციური პროცესების გატარებასთან დაკავშირებით, რასაც თავისი ახსნა აქვს. ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანისთვის გადაცემის საკითხი სამართლებრივად არ არის მოწესრიგებული, ვინაიდან ეს რეგომის გადაწყვეტილებით მოხდა. არადა საბჭოთა კავშირის კანონმდებლობით, გადაცემა კავშირში შემავალ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით უნდა მომხდარიყო. რაც შემდგომ საკავშირო უმაღლეს საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. ჩვენ რა თქმა უნდა, არავის ვედავებით ტერიტორიას, 1991 წლის 21 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით დამტკიცებული რაც იყო, ის არის საქართველოს ტერიტორიის სივრცე, ჩვენ ერთგული ვართ ვენის კონვენციის საზღვრების ურღვევობასთან დაკავშირებით. ალაზნთან დაკავშირებით კი, გვქონდა მოთხოვნა, მაგრამ საშველი ვერ დავაყენეთ. სხვათა შორის, ალაზნის კალაპოტის ცვალებადობას ძალიან კარგად

აკონტროლებდნენ ძმები ხოსროვილები, რომელთაც დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე სამონადირეო სავარგულები გააკეთეს. ჩვენ გვქონდა ოპერატიული მონაცემები, რომ აზერბაიჯანული მხარეს სამშენებლო ინერტული მასა აპქონდა ზემოთ და ალაზნის გარკვეულ მონაკვეთებში ყრიდა, რის შემდეგაც მდინარე ჩვენს ტერიტორიაზე გადმოდიოდა. საერთაშორისო სამართალში არის ასეთი განმარტება, სასაზღვრო მდინარეზე საზღვარი გაივლება მდინარის შუაგულში, ფარვატერზე, ანუ ყველაზე ღრმა ადგილზე მოინიშნება ნიშნულები და ამის შემდეგ მდინარე როგორც არ უნდა შეიცვალოს კალაპოტი, საზღვარი უცვლელი რჩება. აი, ეს ვერ გავაკეთეთ და ამიტომ იქმნება პრობლემა. სომხეთის საზღვარზე გუგუთის მიდამოებში (დმანისის რაიონი) მეორე უკიდურესობა ხდება. საზღვართან დაკავშირებით, აქ ჩაწერილია, რომ სივრცე გამოიჯნულია წიწვოვანი ტყის

ველოს 1937 წლის კონსტიტუციაში, რომელიც უნიკალური დოკუმენტია, სრულყოფილად არის დასახლებული საქართველოს ქონება მისი ტერიტორიით, გამიჯნულია რაიონები და ა.შ., იმ პერიოდში ზაქათალის და ლორეს ოლქები უკვე აღარ გვეკუთვნოდა. ამ კონსტიტუციით განსაზღვრული ტერიტორიით შევედით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იმ უფლებით, რომ ნებისმიერ დროს შეგვეძლო გამოსვლა, რაც 1991 წელს განხორციელდა. მანამდე ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში ვიყავით და ტერიტორიებიც მაშინ დაგვკარგეთ, გადმოგვცემთ მასალებს და თავად დარწმუნდებით, იმ პერიოდში რა განუკითხაობაც სუფევდა, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა და ჯობია დღევანდელ რეალობაზე ვისაუბროთ. თუ ჩვენ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ვაცხადებთ თავს, მაშინ საფუძვლად 1920 წელს მიღებული სამართლებრივი დოკუ-

მენტები უნდა ავიღოთ, მეორის შემთხვევაში კი 1937 წლის კონსტიტუცია. აქ ერთი ძალიან საინტერესო მომენტი იჩენს თავს, პირველი რესპუბლიკის მთავრობას უამრავი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თურქეთთან და არცერთი ეს დოკუმენტი არ ითვალისწინებს ტაო-კლარჯეთის მისთვის გადაცემას. ფარსის ცნობილი ხელშეკრულება რეგომის პერიოდში (1921 წელი) გაფორმდა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მოსკოვის ხელშეკრულების დადასტურება, რომელიც ჩვენი მონაწილეობის გარეშე შედგენილი. ეს უკანასკნელი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას ამაგრებდა, რომელიც ასევე ჩვენს გარეშეა ხელმოწერილი. ქართველმა ისტორიკოსებმა და სახელმწიფო მოხელეებმა რატომღაც დაივიწყეს, რომ არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს, ეს არის მუდროსის ზავი. 1919 წელს ანტანტის სახელმწიფოებმა ხელშეკრულება გააფორმეს თურქეთთან, მოახდინეს ბრესტის ზავის დენონსაცია და თურქეთს მოსთხოვეს საქართველოსა და სომხეთისთვის დაებრუნებინა მათი კუთვნილი ტერიტორიები, რაც პავლე ინგოროფვას რუქის შექმნის საფუძველი გახდა. სწორედ იმ პერიოდში შექმნა ერთა ლიგაც. მეორე რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობის შე-

თხვევაში, 1937 წლის კონვენცია „სასაზღვრო წარმომადგენლების შესახებ“, პირდაპირ აფიქსირებს საზღვარს, ოღონდ ტაო-კლარჯეთის გარეშე და აქ არავითარი ფარსის ხელშეკრულების ფიგურირება არ იყო საჭირო. ჩემი აზრით, მთავარია საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინოს იმ ხელშეკრულებების რევიზია, რომლებიც დაკავშირებულია საზღვრებთან და საზღვრების ინვენტარიზაცია. მოქმედი ხელისუფლება ამას ვეღარ მოაწრებს, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს ამასზე.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს, არსებობს რამდენიმე დოკუმენტი (ენციკლოპედია, ატლასი, ტერიტორიის აღწერა) და ყველგან საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ფართობა მითითებული, ერთგან 69,5 ათასი კვ.კმ-ია, მეორეგან 68.1 ათასი კვ.კმ., მესამეგან 67,9 ათასი კვ.კმ. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ასე უდიერად ექცევა თავის კუთვნილ ზღვის მონაკვეთს, ჩვენ დღემდე არ გვაქვს შეტანილი საქართველოს ფართობში კონტინენტური შეღფის ტერიტორია, ანუ ტერიტორია, რომელიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ქვემოთ მდებარეობს. ჩვენი ტერიტორიული წყლების რაღიუსი 12 მილია, საზღვაო კონვენციის თანახმად შავ ზღვაზე 12 მილზე მეტი არ შეიძლება ეკავოს ქვეყანას. ასე რომ, ჩვენი ტერიტორიული წყლების ფსკერი, რომელიც 7.000 კვ.კმ-ია საქართველოს ტერიტორიის ფართობში არ გვაქვს შეტანილი, მით უმეტეს, რომ ასეთი ხელსაყრელი კონტინენტური შეღფი ნაკლებად აქვს ვინმეს შავ ზღვაზე. აქ ძალიან დაბალი სიღრმეებია, შხის სხივი ფსკერამდე აღწევს, აქედან გამოდინარე, ბიომასა საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენ 1993 წელს მიღებულ საზღვაო კონვენციას, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ მაქსიმუმი 12 მილია (დაახლოებით 20 კმ), თუმცა აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკას 15 მილი აქვს გამოცხადებული, ამ 15 მილის სიღრმეში რომ შეხვიდე, ცეცხლის შეწვევების ვალდებულების დარღვევა გამოგვია და შეიძლება კონფლიქტი გადავიდეს. საზღვრის დაცვის დეპარტამენტს საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში უზარმაზარი სამუშაო აქვს გატარებული, განივრავებულია მრავალი ორგანიზაციაში, ძალიან სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები აქვს განხორციელებული, მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ სასაზღვრო სისტემის დღევანდელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობა არ არის ქვეყანაში დღეს არსებული რეალობის ადეკვატური.

მანანა სუსნიშვილი
599 51 28 24
(გაბრძენა იძნება)

მეუფე ილარიონ სამხარაძის გოლგოთა

მეუფე ილარიონ სამხარაძე, რომელსაც დღეს „რუსთავი-2“ ამასხარაძებს, კატრიარქ დავით V ანდერძის თანახმად, კატრიარქად უნდა ეკურთხებინათ

წერილი, რომლის ფრაგმენტსაც გთავაზობთ, „საერთო გაზეთში“ 2011 წელს (№37,38,39) გამოქვეყნდა



„საერთო გაზეთმა“ ქართლის ერთ სოფელში 74 წლის მთავარეპისკოპოსის მეუფე ილარიონს მიაკვლია, რომელიც პატრიარქ დავით მეხუთის ანდერძის თანახმად, მისი სიკვდილის შემდეგ პატრიარქად უნდა ეკურთხებინათ თუ ვინმემ არ გითხრა, ძნელია დაიჯერო, რომ ეს მოხუცი კაცი, რომელიც ქართლის ერთ სოფელში ფარდალალა ქოხში მარტო ცხოვრობს, მთავარეპისკოპოსია და პატრიარქ დავით V-ის ანდერძით, მისი სიკვდილის შემდეგ პატრიარქად სწორედ ის უნდა ეკურთხებინათ.

ზის თავისი ქოხის წინ, თხელი მაისური, სპორტული შარვალი და ვალინკები აცვია. მუნჯი არ არისო, ამბობენ სოფელელები, როგორც ამბობენ, მოწამვლის შემდეგ არ ლაპარაკობს, სულ დუმს, ფესტებით მპასუხობს, ან დაფაზე თითებით გამოჰყავს ასოები და ასე მაგებინებს სათქმელს. საოცარი თვალეები აქვს, თითქოს ვარსკვლავები უზის გუბებში და რომ შემოგხედავს, სიკეთეს და სიყვარულს გასხივებს...

მთავარეპისკოპოს მეუფე ილარიონ სამხარაძის ნახვა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც საეკლესიო წრეებთან დაახლოებულმა პირმა საქართველოს ყოფილ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური საბჭოს წევრის წერილი გამომცა:

„1976 წლიდან ვმუშაობდი საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ საბჭოში. ჩვენი მოვალეობა იყო მთავრობასა და ეკლესიას შორის კავშირი დაგვეყარე-

ბინა. ჩვენი ნებართვის გარეშე ვერც ერთი ეპისკოპოსი ან მღვდელი ვერ იკურთხებოდა. ჩვენი საბჭო ყოფილი უშიშროების თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, აქედან გამომდინარე, თითოეული სასულიერო პირის ვინაობა დაწვრილებით ვიცოდით, ისიც კი ცნობილი იყო ჩვენთვის, პატრიარქს ვის სახელზე ჰქონდა ანდერძი დაწერილი, რომელიც ინახებოდა მისივე ხელით დალუქულ სეიფში.

1977 წელს, როცა პატრიარქი დავით V გარდაიცვალა, ვიცოდით, რომ პატრიარქს ანდერძი დაწერილი

ჰქონდა მთავარეპისკოპოს ილარიონ სამხარაძეზე. ისიც ვიცოდით, პატრიარქობას მიტროპოლიტ ბაიონ კირატიშვილს ჰპირდებოდა. პატრიარქის ბასანი ღუმელოვამ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დალუქული სეიფი რომ გახსნეს, ანდერძი ილია II-ის გვარი იყო მოხსენიებული. საბჭოს წევრები ბაიონ კირადას, მის შვილად გადასცემდნენ და შვილად ანდერძი დაწერილი



ასე იყო თუ ისე, 1977 წელს 25 დეკემბერს ანდერძის საფუძველზე ილია II პატრიარქად აკურთხეს. ამის შემდეგ ეკლესიაში დაპირისპირება დაიწყო. მეუფე ილარიონი (სამხარაძე) სიმართლის დადგენას მოითხოვდა, ხოლო მიტროპოლიტი ბაიონი პატრიარქობისთვის იბრძოდა, რადგან ის იყო ქორეპისკოპოსი, ე.ი. პირველი პირი პატრიარქის შემდეგ ჯერ კიდევ ეფრემ II-ის დროს. დავით V-ის გარდაცვალების მერე კერატისვილი ხატების ქურდობის ბრალდებით ციხეში გაუშვეს, ხოლო ილარიონ სამხარაძე გაურკვეველ ვითარებაში მოწამლეს. მინდა შევეხო ერთ ძალიან მტკივნეულ საკითხს. 1982 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში კვლავ დაიძაბა მდგომარეობა. ხუთი ეპისკოპოსის მოთხოვნით თბილისში გავრცელდა პროკლამაციები, რომელსაც არიგებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში. ისინი მოითხოვდნენ მამათმავალი ეპისკოპოსების განკვეთას. მთავრობამ დაგვაგალა შეგვეცვალა პატრიარქი ილია II იმ მოტივით, რომ ეკლესიაში მომრავლდნენ მამათმავლები. კანდიდატურაც კი იყო წარმოდგენილი, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავით ჭკალაძე, რომელსაც რამდენიმე დღეში უნდა დაეკავებინა პატრიარქის საეპარქიელი, მაგრამ საქმეში ჩაერია შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი გარლამ შადური (როგორც ამბობენ, ილია II-ის ნათესავი.

– ი.კ.) და მისი კატეგორიული მოთხოვნით ილია II პატრიარქად დარჩა. მეუფე დავით ჭკალაძე კი რამდენიმე ხნის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა“.

ახლახან სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ მეუფე ილარიონ სამხარაძე სოფელში ცხოვრობდა.

გზაზე მიმავალს სოფელელები მხედებინან. როცა ვეკითხები, სად ცხოვრობს-მეთქი მეუფე ილარიონი, მიმსწავლიან და გზას უსიტყვოდ განაგრძობენ.

მეუფის საცხოვრებლის ეზო მავთულბადით არის შემოღობილი. ალაგ-ალაგ გარღვეული, რკინის ჭიშკარი მაგრად არის ჩაკეტილი და ეზოში ვერავინ შევა.

რკინის ჭიშკარზე ვაკაკუნებ. ხმა არ ისმის.

ღობესთან მივიღვივარ და იქვე, ხის უკარფანჯრო, შეშის დასაწყობი ფარდულის მსგავს ქოხში ფეხის წვერებზე დამდგარი ვიხედები.

– მეუფე! – ვეძახი. ხმას არავინ მცემს. მეც ვერავის ვხედავ.

– აქ არის, ეგერა, – მეუბნება მეზობლის ქალი და ეზოსკენ მანიშნებს.

მისი გამოჩენა მოჩვენებას ჰგავდა. ვერ დავინახე, საიდან გამოვიდა, სად იყო, როგორ აღმოჩნდა ხის კუნძთან, ხელში წყლიანი ბოთლი და პლასტიკატის ალაგ-ალაგ ჩამტვრეული თეთრი დაფით.

მომიახლოვდა. მე ღობის აქეთ, ის – იქეთ. დაფა იქვე დადო. წყლიანი ბოთლი გადმოაპირქვეავა, წყალი მუჭით სახეში შემომასხა და მაკურთხა.

ასე გაიმეორა რამდენჯერმე.

ხელის მოძრაობით მკითხა – რა გინდაო?!

– დამლოცე მეუფე, – ვუთხარი მე.

ღობის ძირას მიწაზე ჩამოჯდა. თეთრი თმით გადაპნტილი თავი ჩაღუნა...

ორივე ვდუმდით. მერე ამომხედა.

– მეუფე, შემომიშვით ეზოში, – ვთხოვე.

ის იღებს ხის დაფას და წერს:

– ვ-ი-ნ ხ-ა-რ?

ვეუბნები ჩემს სახელს.

– მ-ო-გ-ზ-ა-ვ-ნ-ი-ლ-ი ი-ქ-ნ-ე-ბ-ი!

– არ ვარ მოგზავნილი. თქვენი ნახვა მინდა, მაინტერესებს როგორ ხართ?

– მ-ა-გ-რ-ა-დ ვ-ა-რ.

– მინდოდა გვესაუბრა, – ვეუბნები.

– რ-ა-ზ-ე? – წერს დაფაზე თითით.



პატრიარქი ილია II



პატრიარქი ილია II




მიტროპოლიტი გიორგი კვირიკიძე

– ქვეყანაზე, ეკლესიაზე. ხომ ხედავთ, რა ამბები ხდება? – არ არის ჩემი ს-ა-ქ-მ-ე. – უსამართლობები ხდება. – არ არის ჩემი ს-ა-ქ-მ-ე – წერს ისევ თითოთ. – ხმას რატომ არ იღებთ? პასუხს არ მცემს. – ი-გ-ა-ლ-ო-ბე! – მიწერს. – შემომიშვით ეზოში და კი, ბატონო. თავს აქნევს და იღიმება. მივიდვარ ღობესთან ახლოს და „ღირს არსს“ ვლიინებ. ტაშს უკრავს. მერე ხელებს აღაპყრობს მაღლა. თვალები ცრემლებით ევსება. მეხვევა. შუაში ღობეა. ის მლოცავს, თავზე მემამბორება და ცრემლჩამდგარი თვალებით ისევ ცისკენ აპყრობს მზერას. ბილიკიდან კაცი მოდის. მეუფე იღებს დაფას და წერს: – ე-ს ჩ-ე-მ-ი დ-ი-ა-კ-ვ-ა-ნ-ი-ა. – თან იღიმის. მ-ა-გ-რ-ა-მ-ჯ-ე-რ ა-ხ-ა-ლ-ბ-ე-დ-ა-ა... გველიძეა. – წავალ, მეუფე, მეტს აღარ შეგაწუხებთ, – ვუხუბნები. – შ-ე-ნ-დ-ო-ბ-ა-ს გ-თ-ხ-ო-

ვ-თ. მ-გ-ლ-ო-ვ-ი-ა-რ-ე ვ-ა-რ-დ-ა გ-ა-რ-დ-ა-მ-ე-ც-ვ-ა-ლ-ა. უკან ვბრუნდები. მეუფე ილარიონ სამხარაძე იქვე, სადაც ვლაპარაკობდით, მიწაზე ჯდება და კეთილი ღიმილით თვალს მავლოებს... როგორც ამბობენ, რაც მეუფე ილარიონი მოწამლეს, კარგა ხნის განმავლობაში იგი საავადმყოფოში მკურნალობდა, მერე დაბრუნდა მამაპაპისეულ ეზოში. მას შემდეგ კაც-თაგან გარიყული ცხოვრობს 74 წლის მთავარეპისკოპოსი. სრულ მდუმარებასა და უკიდურეს გაჭირვებაში უსახლკაროდ, უსახსროდ, კაციშვილი მისი მომკითხავი არაა... თუმცა მეუფე არ გახლავთ ეკლესიიდან დევნილი და მიტოვებული, გაურკვეველი მიზეზების გამო სააქაოში სასტიკსასჯელდადებული ერთადერთი უმაღლესი სამღვდელო პირი. სულიერებისგან და სარწმუნოებისგან განძარცვულ ქართულ ეკლესიაში, სადაც, როგორც ამბობენ, ახლაც უშიშროების აგენტები და სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები წყვეტენ თუნდაც უბრა-

ლო მღვდლების ხელდასმის საკითხებს, დღეს და გუშინ არ დაწყებულა სულიერი კრიზისი. დღეს საზოგადოებამ არაფერი იცის იმის შესახებ, რითი, რა ვითარებაში, ვინ მოწამლა დავით V ანდერძში პატრიარქად დასახლებული მთავარეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე და რატომ გააძევეს ის ეკლესიიდან. არაფერია ცნობილი პატრიარქობის კანდიდატი მიტროპოლიტის დავით ჭკადუას იდუმალებით მოცული გარდაცვალების თაობაზე, არც იმაზეა დამაჯერებელი პასუხი, რატომ სტანჯეს სააკაშვილის ჯალათებმა 5 წელიწადი საპატიმროში მამა ბასილი მკალავიშვილი, რომელიც, როგორც ამბობენ, ციხეში ისეთი ნივთიერებით მოწამლეს, რომ მძიმედ დაავადა და ლამისაა დაბრმავდეს. იმიტომ ხომ არაა, რომ მან არაერთხელ ამხილა უღირსი ღვთისმსახურნი, ქრისტესმომოხელ იელოველებს არაერთხელ ჩაჰკრა თავში ქრისტეს ჯვარი და არაერთხელ ააპეტელა თავიანთი წვერცანცარა ურჯულო ბატონის ენაზე?!



მეუფე ილარიონ სამხარაძე. ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ 2011 წელს.



პატრიარქი ილია II დაბრკალვა

მას შემდეგ, რაც პატრიარქი დავით მეხუთე დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა (სავარაუდოდ, ისიც მოწამლეს), ხოლო პატრიარქის ინტრონიზაციას სვეტიცხოველში მართლმადიდებლური კანონიზაციის საწინააღმდეგოდ, მწვალებლური – სომხური გრიგორიანული ეკლესიის პატრიარქი სპეციალური მოწვევით საპატიო სტუმრად ესწრებოდა, ბევრ უმსგავსობას და სიბილწეს დაედო სათავე, ამას გაჰყვიროდნენ და ამტკიცებდნენ ის უმაღლესი სამღვდელო პირები, რომლებიც ახლა ზეციურ სასუფეველში განისვენებენ. ასე რომ, ჩვენ მიცვალბულთა „ლაპარაკს“ ვუსმენთ ახლა, ცოცხალთაგან ზოგი დაამუნჯეს და ზოგმა თვითონ გადაწყვიტა მდუმარება, ერთი გასაგები მიზეზის გამო, არავის სურს მკვლელის სასტიკი ხელით მოუსწრაფონ სიცოცხლე ან შხამით მოწამლონ, დააბრმავონ და დაამუნჯონ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა...
ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
„საერთო გაზეთი“
#37 2011წ.

ქლიერი საქართველოსთვის

მცხეთა



**სასამაღრი ნაგებობის
სისტემების
რეაბილიტაცია-მონტაჟი
მცხეთის
მუნიციპალიტეტის
სოფლებში**

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთაგან ერთ-ერთი პრიორიტეტულია სასამაღრი ნაგებობების მოწოდება, რეაბილიტაცია და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. შარშან რამდენიმე პროექტი დასრულდა, მიმდინარე წელსაც რეგიონალური განვითარების ფონდის დახმარებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 14 პროექტი განხორციელდება.

სასამაღრი ნაგებობების პროექტიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოფელ ქსოვრისში სასამაღრი ნაგებობების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაო, რომელსაც „ელერ ჯგუფი“ (ხელმძღვანელი რ. ბინჩიგაური) ახორციელებს. იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებითა და ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსებით მიმდინარეობს. სამუშაოების შესასრულებლად 99 500 ლარია გამოყოფილი. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ახალი უბნების დაქსეფვა, სარემონტო სამუშაოები და წყლის მრიცხველების დაყენება. ქსოვრისში სასამაღრი ნაგებობების სისტემის სამუშაოების 60 პროცენტი უკვე შესრულებულია და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით მისის ბოლოსთვის დამთავრდება. შედეგად, ქსოვრისის 512 ოჯახი სასამაღრი წყალით მუდმივად უზრუნველყოფილი იქნება. პროექტით, ახალი ქსელი სოფელ ოძისში (7,6 კმ. სოფლიდან) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაში იქნება და დახმარება მიიღებს სათავეს და მდინარე ქსნის წყლით იკვებება. გასუფთავებული და გაფილტრული წყალი პოლიეთილენის მილებით სოფლის წყალსაცავ რეზერვუარებში ხვდება, საიდანაც მოსახლეობას მიეწოდება.

ქსოვრისის სასამაღრი წყლის სისტემის დაქსეფვა 2010 წელს განხორციელდა მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მაგრამ სოფლის ყველა უბანი

ვერ მოიცავდა და უზარისხოდ ჩატარებული სამუშაოების გამო სოფელს სასამაღრი წყალი დღემდე შეფერხებით მიეწოდება.

დუშეთში საკანალიზაციო ქსელის მოწოდება, რომელიც

დუშეთში, სააკაძის ქუჩაზე, მიმდინარეობს საკანალიზაციო ქსელის მოწოდება, რომელიც

დუშეთი



მოსახლეობას მოუწესრიგებს საყოფაცხოვრებო პირობებს. ქსელში ჩაერთვება 16 ოჯახი. აგრეთვე, ერეკლე მეორის ქუჩაზე 8 ოჯახი იყო დარჩენილი საკანალიზაციო ქსელის გარეშე და მათი პრობლემაც მოგვარდა. მსგავსი სამუშაოები გაგრძელდება აღმშენებლის ქუჩაზეც (ყოფილი სტალინის ქუჩა). მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა და გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა

თიანეთში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

თიანეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგაზაფხულო ხვნის სამუშაოები აქტიურ ფაზაში შევიდა.

წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით – „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ – გათვალისწინებულ ხვნის სამუშაოებში კერძო ტექნიკის მფლობელები ჩაერთვნენ. შპს „მეკანიზატორსა“ და კერძო ტექნიკის მფლობელებს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა. მუნიციპალიტეტში, საგა-

ზაფხულო ხვნის სამუშაოების პარალელურად, საგაზაფხულო მარცვლოვანი (საგაზაფხულო ქერი, შვრია) და ბოსტნეული (კარტოფილი) კულტურა უკვე დაითესა 60 ჰა ფართობზე, რაც მკვეთრად აღემატება 2015 წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს (15 ჰა – 2015 წ., 60 ჰა – 2016 წ.).

თიანეთის მუნიციპალიტეტში აგროვალების დაცვით, „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში უფასოდ დამუშავდება 5504 ჰექტარის 4257 ჰექტარი მიწის ფართობი.

ამბროლაურის სოფ. გორში წყალმომარაგების სისტემის სამუშაოები მიმდინარეობს სახელმწიფო რწმუნებულ-



ამბროლაური



გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე, გუბერნატორის მოადგილე ლევან ქვათაძესა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელ მალხაზ ლომთაძესთან ერთად, სოფელ გორში მიმდინარე წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო. წყალმომარაგების სისტემის პროექტის ღირებულება 126 ათას ლარია. იგი ითვალისწინებს ჭაბურღილის, რეზერვუარის, მაგისტრალური მილსადენისა და შიდა ქსელის მოწყობას, რომლის სამუშაოებიც მოიცავს ქვაბულში წყლის შემკრები 25-ტონიანი ფოლადის რეზერვუარისა და ჭაბურღილისთვის ტუმბოს მოწყობას

ავტომატური მართვის ფართ. წყალმომარაგების სისტემის სამუშაოების დასრულების შემდეგ სოფელ გორის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი სასმელი წყლით, მოგვარდება პრობლემა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ათეულობით წლების განმავლობაში აწუხებდა.

სამედიცინო აქცია ხულოს მუნიციპალიტეტში

ხულოს მუნიციპალიტეტის ხიზაძირის ადმინისტრაციული ერთეულში გაიმართა უფასო სამედიცინო აქცია, რომელიც აჭარის არ ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივითა და სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერით ხორციელდება.

ადგილობრივებს უფასო სამედიცინო კონსულტაციები და კვლევები შპს „ონკოლოგიური საავადმყოფოს“, შპს „სოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრისა“ და შპს „თამარის დასახლების სოჯახო მედიცინის ცენტრის“ ექიმებმა ჩაუტარეს. პაციენტებს მოსახურება გაუწიეს ოჯახის ექიმმა, ნევროპათოლოგმა, კარდიოლოგმა, ექოსკოპისტმა, გინეკოლოგმა, ენდოკრინოლოგმა და უროლოგმა. დილის 11 საათზე დაწყებული უფასო სამედიცინო აქცია დღის ბოლომდე გაგრძელდა. პროცესს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნუგზარ სურმანიძე

თხილის ნერგები შუახევლის მუნიციპალიტეტის ფარგლებში

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუთურაულში მცხოვრებ ფერმერს თხილის ნერგები გადაეცა. რეგიონის მასშტაბით მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურის ბაღების გაშენების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 32 ფერმერს 6 ათასი თხილის ნერგი უკვე დაურიგდა. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება თხილის, კაკლის, ლურჯი მოცვისა და საადრეო მანდარინის ბაღების გაშენება. ნერგები ფერმერებს თანადაფინანსებით გადაეცემა.

შუახევის კულტურის მინისტრისა და ბათუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის შორის მემორანდუმი გაფორმდა

შუახევის კულტურის ცენტრსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მემორანდუმი გაფორმდა. თანამშრომლობის ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებას, ერთობლივად დაეკვირვონ და განახორციელონ სამეცნიერო სემინარები და კონფერენციები. გარდა ამისა, შუახევის მუნიციპალიტეტში შეისწავლიან ეთნოგრაფიულ და ისტორიულ ძეგლებს.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ასევე უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელშეწყობას – შუახევის კულტურის ცენტრის სპეციალისტები სტაჟირებას გაივლიან უმაღლეს სასწავლებელში.

მემორანდუმის ხელმოწერის დღესვე, შუახევის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში უზენეს გივი ნახუცრიშვილის დოკუმენტური ფილმი „აბუსელიძის ტბელი“.

ლონისძიებს ესწრებოდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრაღიძე, კულტურის ცენტრის დირექტორი ვახტანგ ბერიძე და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ქეთევან ბერიძე, სხვა მოწვეული სტუმრები.



შუახევი

თამარ თორაძე: აიუსთვიის ვსოცხლოზ, აიუსთვიის გავკელი აზღანი ხანი - მიწა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, როგლებაც 23 წლის წინათ ხუთი ძმა და დედ-მამა მოიკლეს

- თამარ, რა იყო მიზეზი, რატომ გაიმეტეს შენი ძმები და მშობლები მოსკლავად? ასეთი სისასტიკით ჩაღვნილი მკვლელობა, ოჯახის ამოწყვეტა, გაძარცვა უმიზეზოდ მოხდა?

- ზუსტი მიზეზი დღესაც არ ვიცი, მკვლელებს რომ ორგანიზატორი და დამკვეთი ჰყავდათ, ფაქტია. უკვე გითხარი, რომ ჩემი ძმები არც „სკრიპაჩები“ იყვნენ და არც „ალბინისტები“ ეგრეთ წოდებული „კარგი ბიჭების“ ცხოვრებით ცხოვრობდნენ, „ქუჩა“ იცოდნენ და უფროსი და უმცროსიც. ტრადიციებს პატივს სცემდნენ. არც არავის ჩაგრავენ უსამართლოდ და არც თავს აჩაგრინებდნენ. ჩემს დედ-მამას დიდი სურვილი ჰქონდათ, სხვა ცხოვრებით ეცხოვრათ მათ შვილებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ჩემს უფროს ძმას პრობლემები ჰქონდა მილიციასთან, რომელიც სამართალდამცავებმა უფრო გაამწვავეს და კანონის უხეში დარღვევით ცდილობდნენ ანგარიშსწორებას, მამაჩემმა ადამიანურად რომ ვერაფერს მიაღწია, უარული ჩაწერა დაიწყო და ბოლოს საკმაოდ ბევრი მტკიცებულებები დაუგროვდა სამართალდამცავების მხრიდან დანაშაულის პროვოცირების დასამტკიცებლად. ჩემი უფროსი ძმის გამო მამაჩემი დააპატიმრეს ხულიგნობის ბრალდებით. უფროსი ძმა განსაკუთრებით „შარბანი“ იყო. თუმცა მისი ბრალდებაც ხულიგნობას არ გასცდენია. უბანში ჩემ ძმებს ავტორიტეტი ჰქონდათ, პატივს სცემდნენ. 1991 წლიდან ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურ-

რად შეიცვალა, მამა ხშირად ამბობდა, რომ სიტუაცია უმართავი გახდებოდა და ცხოვრება გაჭირდებოდა. დიდი სურვილი ჰქონდა საცხოვრებლად აშშ-ში გადასულიყავით. მე ეს აზრი ძალიან მომწონდა თუმცა ჩემი ძმები იყვნენ წინააღმდეგები. აღნიშნულ პერიოდში ჩემს უფროს ძმას ზახას მეორე ცოლი და ორი შვილი ჰყავდა, კახაც ცოლშვილიანი იყო თუმცა, ეს არ იყო მიზეზი, რის გამოც მათ სხვა ქვეყანაში ცხოვრება არ უნდოდათ - „ჩვენი ქვეყანა ვის დაუტოვოთ“, - ამბობდნენ ჩემი ძმები.

- 1991 წლის 21 დეკემბერს თბილისში ე. წ. სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია დაიწყო. არც კრიმინალურ სამყაროში იყო საქმე კარგად. სწორედ ამ დროით თარიღდება „დიდი წმენდის კამპანია“ ქურდულ სამყაროში. მილიციამ, გადაწყვიტა, ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით, კანონიერ ქურდებზე და კრიმინალებზე ნადირობა გააჩაღა. ამით იგი კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის გარეშე დატოვებას ცდილობდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მილიციამ უნებლიედ ნიადაგი მოუშადა „მხედრონის“ ქუჩაში ჰეგემონიისთვის. ამ აქციის პირველი მსხვერპლი კანონიერი ქურდი ანზორ ალაიანი აღმოჩნდა...

- ვფიქრობ, ამიტომაც ნერვიულობდა მამათქვენი, რადგან სწორედ აფასებდა სიტუაციას, ხედავდა, რომ ინტერესების სერიოზული გადანაწილება ხდებოდა...

- გეთანხმებით, სწორედ

1991 წელს მოუწყვეს ჩემს ძმებს პროვოკაცია ჩვენს საცხოვრებელ სახლთან მილიციამ და „თეთრი გიორგის“ წევრებმა, იმ დღეს ეზოდან იმედოს ისეთმა „ნაცნობმა“ დაუძახა, რომელსაც, წესით, ვერც უნდა გაეუღდა მასთან კონტაქტი, ოჯახის მთელი შემადგენლობა სახლში ვიყავით ღამის გარდა. მამა მყისიერად მიხვდა, რომ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი, იმედოც გააფრთხილა, მაგრამ მას სჯეროდა თავისი სიძლიერის და ეზოში ჩავიდა. მას კახა გაჰყვა. „ნაცნობი“ იარაღით ხელში შეშინებული დახვდათ ეზოში, რომელმაც იმედოს „მოკლე კითხვას“ სროლით უპასუხა და გაიქცა, თუმცა მასაც დაეწია კახას ნასროლი ტყვია და ფეხში დაიჭრა. ამ ამბის წამომწყები ბანდა ისე დაიბნა, ავტომატქანა ეზოში დარჩათ. იმედა მამამ და ღამის საავადმყოფოში წაიყვანეს. ძალიან მალე „თეთრი გიორგის“ წევრები და მილიცია „გვეწყვია“ და სახლში შემოვიარდნას ცდილობდნენ იმ მიზეზით, თითქოს ჩვენ მძევლებად ვყავდით ვიღაცებს აყვანილი. ეს უსუსური ტყუილი, რა თქმა უნდა, ჩვენს სახლში შემოდგევით და დარბევით მიხვნილი მოიგონეს. არადა, აივნიდან მსუბუქ ნივთებს ვესროდი, რადგან საშინელებებს მებაზდნენ მილიციელებიც და სამხედროფორმანებიც, არც მე ვპასუხობდი ზრდილობიანად. მოკლედ, საავადმყოფოდან რამოდენიმე საათის შემდეგ მობრუნებულ ჩემს ძმებს და მამას ეზოში „არმია“ დახვდათ. მამას ტელეფონით შევატყობინეთ „დიდი სტუმრიანობის“

შესახებ ამიტომაც მან „მომზადებულად“ მილიციელებიც და სამხედროებიც „გააცურა“, თითქოს სახლის დათვალიერების უფლებას აძლევდა და მათთან ერთად კარებამდე მოსული ისე „შემოსრილდა“, კარებს იქით გაოცებული ჯარი დატოვა. ჩემი ძმები კი დააკავეს და პოლიციაში წაიყვანეს.

ამ პროცესს მე აივნიდან ვადევნებდი თვალს და განვიცდიდი, მამაზეც ვბრაზობდი, ბიჭები რატომ დატოვა ქვემოთ, თუმცა მალე მივხვდი, მამის გეგმამ როცა გაამართლა, ისე „შეუსრულა“, იძულებული გახდნენ, ქალაქის მაშინდელი კრიმპოლი ბორია ივანოვი მოეყვანათ. გარანტიების შემდეგ ივანოვი და ჩვენი დამცველი გულიკო გაბაიძე მამამ შემოუშვა სახლში და ანახა, რომ მძევლებად არავის ვყავდით. თუმცა ივანოვმა ისედაც კარგად იცოდა, რომ ეს დადგმული სექტაკალი იყო. რადგან ჩემი ინფორმაციით, ივანოვიც ითავსებდა ხშირად რეჟისორობას. მოკლედ, ბორია იძულებული გახდა მამამ, ჩემი ძმები გაეთავისუფლებინა და სექტაკლიც დაესრულებინა! აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით ვწერ ჩემს წიგნში, ვფიქრობ, იმ დღეს პოლიციელებმაც და „არაფორმალურმა“ სერიოზულად დაარღვიეს კანონი. ნორმალურ ქვეყანაში ჩემს ოჯახს ბოდიშს მოუხდინდნენ და მილიციელებს სამაგალითოდ დასჯიდნენ.

- რას გულისხმობთ?

- მეორე დღეს ჩემს ძმებთან მოვიდა ის ბიჭი რომელმაც დანაშაულის პროვოცირებისთვის ჩემს ძმას ესროლა და უთხრა, მილიციაში მაიძულებს ასე მოვექცეულიყავით.

- შენს ძმებს რა რეაქცია ჰქონდათ?

- აპატიეს. მამა აფორიაქებული იყო და ვერ წყნარდებოდა, რა თქმა უნდა, ჩვენზე მეტი გამოცდილებაც ჰქონდა და ანალიზის უნარიც და არც ინტუიცია დალატობდა არასდროს.

- თამარ, ამ გადასახედიდან რას ვერ იფიქრებ, რა სფეროების გადანაწილება ხდებოდა ქუჩაში?

- 90-იან წლებში დამნაშავეთა სამყაროს პოლიტიკაში ჩა-



რევამ პოლიტიკის კრიმინალიზაციას დაუდო დასაბამი. „მხედრონის“ პოლიტიკური ამბიციებით გამოსვლამ ქურდული სამყარო ორად გაყო - ისინი, ვინც პოლიტიკაში მოვიდა და ისინი, ვინც ქურდული განდგომილობა დაიცვა, პოლიტიკაში მოსულთ ბრალი დასდო და „გრების“ ჩამდენად მიიჩნია. დაიწყო მტრობა, სისხლიც დაიღვარა. 1992 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სისხლიანი მოვლენებით. გამართლდა პრეზიდენტ გამსახურდიას სიტყვები. ქუჩა ქუჩას წაეკიდა, უბანი - უბანს. თბილისში „სამშობის“ ერა დაიწყო. „მხედრონმა“ ფეხის მოკიდება ჯერ ქუჩაში სცადა. ქალაქის უბნებში შექმნილი „მხედრონის“ პატარა ჯგუფები ე. წ. სამშობად მოინათლნენ (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში არსებული რამდენიმე „სამშო“ სულაც არ ყოფილა „მხედრონის“ მეკვიდრე) და მეტოქეებთან სისხლიანი ანგარიშსწორება დაიწყო. 1992 წლის 3 მარტს თბილისი ყველაზე საშინელი მკვლელობის მოწმე გახდა. ვერის სასაფლაოსთან ჩემი ოჯახი ამოწყვეტიეს. სამშობებით თუ კრიმინალური კლანებით გავსებულ თბილისში ძმებ თორაძეების დაჯგუფება თითქოს ყველასგან გამორჩეული, ხელშეუხებელი იყო, უაღრესად შეკავშირებული და თავზე ხელაღებული. თორაძეები თავს ანგარიშვალდებულად მხოლოდ მშობლებისა და ახლობლების ვიწრო წრის წინაშე თვლიდნენ. ეს დაჯგუფება არ ცნობდა ოფიციალს თუ კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებულ ავტორიტეტებსა და პრივილეგიებს. თორაძეები გარკვეულ ძალას წარმოადგენდნენ ვერაზე და არა მარტო ვერაზე. ძმებმა ბევრი მტერი გაიჩინეს როგორც ოფიციალურ წრეებში, ისე ქუჩაში.



ისინი მილიციის განყოფილების ხშირი სტუმრები იყვნენ, მაგრამ მათგან თავის დაპყრენას ყოველთვის ახერხებდნენ. სისხლიანი ვაკუანალიის მიზეზი ვერც მხედრიონელების, კერძოდ, ჯგუფ „ბოროტების“ და თორაძეების დაპირისპირება იყო. რადგან ვერის სამოსს წვერების უმრავლესობა მხედრიონელი იყო, თორაძეებზე იერიში უკვე აშკარად მიჰქონდათ (როგორც ჩანს, სისხლის ფასად უნდა გარკვეულიყო, ვინ იყო ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ლიდერი). ჩემი ძმები კი მხოლოდ საკუთარი ძალებით ცდილობდნენ პირველობის შენარჩუნებას. 1991 წლის 24 სექტემბერს ზაზა, კახა, ლაშა, იმედა და ზვიად გელოვანი ორი მანქანით სადღაც მიდიოდნენ,

„ლისიჩკაც“ კი არ ჰქონდა თან. 30 გარეწარზე მეტი ავტომატებით შეიარაღებულმა ზაზა, ზვიადი და იმედა კონდახების ცემით ავტომანქანაში ჩატყენეს და წყნეთში აიყვანეს. სადაც კალანდაძემ მომხდარის გამო ბოლიშის მოხდას ითხოვდნენ. რა თქმა უნდა, ბოლიში ვერ მიიღეს და მუხლები ავტომატით დაუხვრიტეს განსაკუთრებით ლერი სულაბერიძე, „ზარალა“ და ნიკა დევედარიანი აქტიურობდნენ. შემდეგ მანქანაც დაუცხრილეს, მაგნიტოფონი და რაც რამე ღირებული იყო, ვირთხებივით მიითვისეს და მომაკვდავი ბიჭები ტყეში დატოვეს. ჩემმა ძმებმა როგორღაც მოახერხეს და საავადმყოფოში მივიდნენ. სახლშიც დარეკეს. მამა ასეთი განადგურებული არასდროს მი-

როდის და როგორ დამთავრდებოდა „ბოროტების“ დაწყებული ომი. ამას ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობაც ემატებოდა. ბადრი ზვადაგაიანის მეგობარი „ნამცეცა“ გვარდიელი იყო, ის ჩემს ძმებთანაც მეგობრობდა ძალიან გვიყვარდა ოჯახის ყველა წევრს. ერთ თებერვლის საღამოს თორაძეები მგელაძეს სახლთან ელოდებოდნენ, „ნამცეცაც“ მათთან ერთად იყო, ნახევარ საათში კომენდანტის საათი იწყებოდა და სახლში დაბრუნებას აპირებდნენ, ზაზა მანქანიდან გადმოვიდა და კახას ავტომანქანასთან მივიდა, სადაც კახა, ლაშა, იმედა და „ნამცეცა“ ისხდნენ. მან თან საათზე დაიხედა. გულში დამიზნებულმა ტყვიამ საათში გაიარა და იდაყვის დაბლა მთელი ხელი დაუზიანა.



– დავიწყეთ იმით, რომ ჩვენი სააგენტო, მოგვხსენებთ, სულ რაღაც ერთი წელია, რაც შეიქმნა. ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა მოსახლეობის დაცვა საფრთხის მატარებელი ცხოველებისგან. მანანალა ცხოველთა რაოდენობამ მოიმატა თუ დაიკლო, ამას ვერაფერს გეტყვით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინა წლებში მათი აღრიცხვა, ფაქტობრივად, არ ხდებოდა. ჩვენი ორგანიზაციის შექმნის შემდეგ დავიწყეთ მანანალა ცხოველების მონიტორინგი, რაც საკმაოდ შრომატევადია. ამიტომ ახლა ძნელია, გადაჭრით ვთქვათ, მოიმატა უპატრონო ცხოველების რაოდენობა თუ დაიკლო.

– როგორც ვიცით, დედაქალაქში გვაქვს ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფარი. როგორ ხდება ცხოველთა იქ გადაწვევა?

– ჩვენს სააგენტოში გვყავს მობილური ჯგუფები, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ახორციელებენ რეაგირებას შეტყობინებებზე, რომელიც ხორციელდება ნომერზე 112. ცხოველი დაჭერას და თავშესაფარში გადაყვანას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ იგი აგრესიულია და საფრთხეს უქმნის ადამიანებს და სხვა ცხოველებს, ან თუ აქვთ რაიმე საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნები, აგრეთვე უშეთვალეფურეთ. დაკარგული ცხოველები და ასე შემდეგ.

– ამჟამად რამდენი ცხოველი იმყოფება თავშესაფარში?

– დღეისათვის 180-მდე ძაღლია თავშესაფარში.

– ბატონო თემურ, თქვენ საფრთხეებზე საუბრობდით. იქნებ დავაკონკრეტოთ, რას

გულისხმობდით ამ საფრთხეში?

– მოდით, გეტყვით საფუძვლებს, რა შემთხვევაში ექვემდებარება ცხოველი დაჭერას და თავშესაფარში გადაყვანას. პირველ რიგში, როდესაც ცხოველი აგრესიულია ან დაავადებულია. მეორე, თუ მოხდა დაკბენის ფაქტი, ამ შემთხვევაში ცხოველი აუცილებლად დაკვირვებას ექვემდებარება. ასევე დაკარგული, გასაჭირში მყოფი ცხოველები.

– გაზაფხული დადგა და, ალბათ, მალე ქვეწარმავლებიც გაიღვიძებენ. თუ ხართ საამისოდ შზად და თუ ტარდება პრევენციული ღონისძიებები?

– თავისთავად, როგორც ვითხარით, ჩვენი მაღალი კლასის სპეციალისტები ოპერატი-

ბირებული ჰუმანური მეთოდით ცხოველთა სტერილიზაციასტრატეგია. ამასთან, მოსახლეობაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაბალია ცხოველებთან მოპყრობის ცნობიერების დონე. საამისოდ ჩვენი სააგენტო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. დავებუდეთ საინფორმაციო ბიულეტენები და ვარიგებთ მოსახლეობაში, საჯარო სკოლებში გაკვეთილის სახით ცხოველების მოვლა-პატრონობაზე, ჰუმანური მოპყრობაზე, უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე და სხვა თემებზე, რათა ადრეული ასაკიდანვე დაენერგოთ ჩვევები.

– ადრე იყო დანერგილი ცხოველთა ლიკვიდაციის პრაქტიკა. ახლა თუ ხდება?

– ცხოველთა დაძინება ანუ



ულად გადიან გამოძახებაზე და მოსახლეობას ეხმარებიან. ამასთან, მთელ რიგ ობიექტებზე ხდება ინგრედიენტების დაყრა, რაც ამცირებს ქვეწარმავალთა რაოდენობას. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ სააგენტო ვალდებული არ არის, კერძო ობიექტებზე ჩაატაროს მსგავსი ღონისძიებები.

– და მინც, როგორ შეიძლება შემცირდეს ქალაქში მანანალა ცხოველების რაოდენობა?

– ერთ-ერთი მთავარი აპრო-

ვთანაზია ხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

– რას ურჩევდით მოსახლეობას?

– პირველ რიგში, არ შეიძლება შინაური ცხოველების ქუჩაში გაგდება. ვისაც უყვარს ცხოველები, დაიცვან შესაბამისი ნორმები. არ შეიძლება თუნდაც ძაღლების სადარბაზოებში კვება, რათა შემდგომ ავიცილოთ ცხოველისგან შესაძლო აგრესია. ვისაც ჰყავს ცხოველი ან აპირებს იყოლიოს, აუცილებელია, იცოდეს მოვლა-პატრონობის ელემენტარული წესები და სათანადო პირობებიც შეუქმნას.

– როდის და რამდენით შემცირდება ჩვენს დედაქალაქში მანანალა ძაღლების რაოდენობა?

– საკმაოდ რთული კითხვაა. მაგალითად, ლონდონში 50-60 წელი დასჭირდა, რათა შეემცირებინათ მანანალა ცხოველების რაოდენობა. საკმაოდ შრომატევადი საქმიანობაა. წელს სამ თვეში ჩვენს სააგენტოში ოთხი

ათასამდე გამოძახება გვქონდა. ვაკვირდებით რიცხოვნობას. წელს ვაპირებთ გავხსნათ კიდევ ერთი საოპერაციო. ამის გარდა, დედაქალაქში პატრულირებენ მობილური ჯგუფები. როგორც ვითხარით, ჯერ მხოლოდ ერთი წელია, რაც ჩამოყალიბდა ჩვენი სააგენტო და ასე მოკლე დროში უკვე ბევრის გაკეთება მოვასწარი.

დიახ, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, თბილისში იშვიათია უბანი, სადაც მანანალა ძაღლები და კატები არ არიან. საფრთხის მატარებელი ცხოველებისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, როგორც უკვე ვიცით, შარშან შეიქმნა თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცხოველთა მონი-



ტორინგის სააგენტო. იდეა, იცოცხლეთ, მართლაც კარგია, მაგრამ, როგორ ვებრძოლოთ მანანალა ცხოველებს, ძნელი გასარკვევეი აღმოჩნდა.

სააგენტოს თანამშრომლების მიმართ სასაყვედუროდ ადამიანს ენა ძნელად მოუბრუნდება. თუმცა გაუგებარია, რატომ უნდა დააბრუნონ თავშესაფარში გადაყვანილი უპატრონო ცხოველი ძველი ბინადრობის ადგილზე, თუნდაც გარკვეული აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ. ამით უპატრონო ცხოველთა რაოდენობა ვერ შემცირდება. ამის გარდა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძაღლმა თუ ერთხელ დაკბინა ადამიანი, ადვილად შესაძლებელია, იგივე ქმედება კვლავ გაიმეორეოს. როდის და ვის მიმართ გამოიჩენს ცხოველი აგრესიას, უცნობია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც, ფაქტობრივად, მოშინაურებულ ძაღლს თავისივე უბნის ბავშვი დაუკბენია.

აგრესია ერთია და სად და საიდან იკვებებიან მანანალა

ცხოველები, ესეც საკითხავია. მათ „კვების ბუნქტებს“, ძირითადად, ნაგვის ბუნკერები წარმოადგენს. ნაგავში ძროშიალის შემდეგ იგივე ცხოველები ეზოებში დაწანწალებენ, სადაც ჩვენი ბავშვები თამაშობენ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ძაღლის და კატის ბეწვი თუ ნერწყვი უამრავ ბაქტერიას შეიცავს, რაც ადამიანის ორგანიზმს საფრთხეს უქმნის. არათუ მანანალა, არამედ, შესაძლოა, ზოგჯერ შინაურმა ცხოველმაც დაასწებონ ისეთი ადამიანი ისეთი დაავადებით, როგორცაა, მაგალითად, ცოფი, ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, ტრიფოფიტო-



ბია ბურღული
551 71 27 07

ამ ბოლო დროს, როგორც მესმის, საკმაოდ ბევრი ადამიანი უყურებს „ობიექტივის“ ტელევიზიას, თუნდაც იმიტომ, რომ იქ ბევრი ცნობილი ჟურნალისტი მუშაობს. ვერ გეტყვით, რომ ყველა მათგანის საქმიანობით ვარ მოხიბლული, მაგრამ ერთს განსაკუთრებით გამოვყოფდი. ეს მერაბ ბერაძეა, ჩემი უფროსი კოლეგა, ტელეკომენტატორი, რომლის გადაცემებაც ჯერ კიდევ ბავშვი ვადევნებდი თვალს საზ. მაუწყებელზე და ვიცოდი, რომ მისი საავტორო პროგრამა, როგორც წესი, რეიტინგების მიხედვით, მუდმივად პირველ სამეულში ხვდებოდა.. ამას წინ, თავის საავტორო პროგრამაში, მან მეტად მტივინული რამ ბრძანა: „უფალმა თავიდან რომ მოინდომოს მიწების გადაწვევა, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ ადგილს არ მოგვცემდა, რადგან მეტად უყარათოდ ვეპყრობით ყოველივე იმას, რაც ასე უხვად გვაქვს ღმერთისგან ბოძებული და ამიტომაც ვართ საშინელ დღეში!“

მართალი გითხრათ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამასზე. მერაბ ბერაძის ტელეფონის გაგება არ გამჭირვებია. დაუკავშირდი და ვთხოვე რედაქციაში მოსვლა. სიამოვნებით, მითხრა, ოღონდ კარგი იქნება თუ კი წინასწარ იმ რეცენზიებს და გამონათქ-



რაბოი ვართ ასეთ დღეში, ანუ რაბოი არ უნდა ინტერვიუ?

რომ საზ. მაუწყებელი მ. ბერაძის სამსახურის წინ ვარსკვლავს გაუხსნიდა, რადგან დღემდე ამდენი ქართული საქმიანობის, არც ერთ ჟურნალისტს არ დაუდგამს გვირგვინი!

- ისიც, თუ რა პატივით იხსენიებს ფიზიკოსი კობახიძე ტელეკომენტატორს: „საქართველოს მაღალმთიანის 74 ეკლესია-მონასტერში, იქ, სადაც ელექტ-

დოთ კვალიფიციურ ექსპერტთა დასკვნას: „ენერჯის“ ფართო პროპაგანდით უფრო დიდ სიმაღლეებს დაიპყრობს მეცნიერება, განმტკიცდება ეკონომიკა, გზა გაეხსნება საინტერესო გამოგონებებსა და საინჟინრო ნოვაციებს. მათ, ვინც საკუთარ ეზო-კარში მოაწყობს ბიოდანადგარს და მიკროელექტრონულ სადგურს, პირველი დანახარჯის შემდეგ,

მინდია სალუქვაძე, ერეკლე გამყრელიძე, მალხაზ ზაალიშვილი, ნოდარ ნუცუბიძე, მარლენ გორდენიანი, დავით ჯოხაძე და მათთან ერთად: ანა კალანდაძე, ირაკლი აბაშიძე, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, მურმან ლებანიძე, ჯემალ აჯიაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ოტია იოსელიანი.

გავიგე, რომ საზ. მაუწყებლობის მაშინდელმა თავმჯდომარემ ბატონმა შენგელიამ ბრწყინვალე დახასიათებით ორჯერ წარადგინა ჟურნალისტი სახელმწიფო პრემიასზე, როგორც ერთ-ერთი, ყველაზე გამორჩეული და მამუ-

ყოვლად უსინდისოდ გაშვებული და საშინაოდ განწირული ის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები მინც «ქართულ ოცნებას» დაუჭერენ მხარს მოახლოებულ არჩევნებში?

მასსოვს, ამას წინ, ერთ-მა მაყურებელმა საინტერესო შეკითხვა დაუსვა მერაბ ბერაძეს პირდაპირ ეთერში: „თქვენ ხართ ის ტელეჟურნალისტი, რომელმაც 90-წლებში, ვრცელი რეპორტაჟით, პირველმა წარუდგინეთ ქართულ საზოგადოებას ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როცა მან მიწასთან გასწორებულ სამშობლოს, ურიცხვი რაოდენობის სასოფლო სამეურ-

ლომშილური გადაცემის ავტორი. თუმცა ჩვენში კურიოზებს რა გამოლევს და „ნაციონალების“ მობრძანების შემდეგ, იგივე ბატონმა შენგელიამ და მისმა მოადგილემ ბატონმა გიორგაძემ, რომელიც დღეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად მოგვევლინა, მისი გადაცემა ეთერიდან მოხსნეს, როგორც არაფრის მთქმელი და უინტერესო. (!). რითაც საგრძობლად შეაჩერეს ქვეყნის წინსვლა. როგორ არ გაგახსენდება კაცს, ცნობილი პოეტი რუზო ამაშუკელი? „მინაურმა თუ არ დამკლა, მე მომზღუღე ვერას მიზამს!“

მასსოვდა, რომ მერაბ ბერაძესთან ერთად სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, პანდურით გამოყარეს სამსახურიდან 2 800 ამაგდარი თანამშრომელი ისე, რომ მათთვის ერთი თბილისი სამსახურია და ამაში დიდი წვლილი სწორედ მერაბ ბერაძის მიუძღვისო!“

- სხვათა შორის, ვიცოდი, რომ მზის სისტემების პროპაგანდისათვის, რასაც ტელეკომენტატორი 45 წელზე მეტი ერთგულად ემსახურა, ამერიკელ ალბერტ გორს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული - ნობელის პრემია მიანიჭეს, მერაბ ბერაძეს კი, 2004 წელს საგულდაგულოდ ჩაურახეს სამსახურის კარები და ეს იყო უპატიებელი შეცდომა, რადგან იმხანად, ბევრ მეცნიერსა და გამომგონებელს ანთო მწვანე შუქი, აგუგუნდა ათეულობით მიკროელექტროსადგური და ბიოდანადგარი, მზით წყლის გამაცხელებელი, ქარის აგრეგატი. ხოლო გადაცემა რომ არ დაეხურათ, ეს ციფრები მინიმუმ გაათმაგდებოდა ახლა კი, დაეკონკრეტოთ, თუ რა დაკარგა საერთო ჯამში ქვეყანამ და თვითოეულმა ჩვენთაგანმა და ამისთვის გადავხე-

ნო ტექნიკა და საწვავი გამოუგზავნა საჩუქრად. 2004 წელს, მას შემდეგ, რაც სამსახურიდან გაგიშვეს, თქვენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ექვთიმე თავაიშვილივით ემსახურებით ქართულ საქმეს და ეს იმ ფონზე, როცა სხვა ტელეარხების წამყვანებს, რომლებიც გასართობ და შოუ-პროგრამებს უძღვებიან, ზღაპრული, ოთხიშენა ანაზღაურება აქვთ. პატიოსნად გვითხარით, გეხმარებათ თუ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფონდი? - მასსოვს, ჩემი კოლეგის საინტერესო პასუხიც: - ხატზეც შემოძლია დაეფიცო, რომ არც ერთი თეთრი არ მიმიღია არც ბატონი ბიძინას და არც სხვა ფონდიდანო!

გავეცანი მერაბ ბერაძის დიდი ხნის ნატურასაც: „ჩვენ ხომ უნიკთერესი ხალხი გვყავს და რა დიდებული იქნებოდა, საქართველოშიც რომ გვქონდეს ერთი საგანგებო სატელევიზიო არხი, რომელიც მხოლოდ მეცნიერებას, საინჟინრო ნოვაციებს, გამოგონებებს და მზის ენერჯის წყაროებს აუნთებდა მწვანე შუქს, ისე, როგორც ეს თურქეთში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთში და იაპონიაშიაო, რადგან ეს ქვეყნები, ასეთი გადაცემების დიდი დახმარებით გავიდნენ მოწინავე პოზიციებზეო!“

დაბოლოს, მასსოვს, ძველი ბერძნები ამბობდნენ, ქვეყანა იმიტომ კი არ არის გაჭირვებული, რომ წიაღისეული არა აქვს, არამედ იმიტომ, რომ დირსეულ პატივს არ მიაგებს იმ მოღვაწეებს, რომელთაც უამრავი საინტერესო რამ შეუძლიათ შესთავაზონ საზოგადოებასო!

მოკლედ, ძალიან ბევრი რამ გავიგე, ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო და ამიტომ ჩვენი ინტერვიუც აღარ შესდგა! მაპატიე, ჩემო მკითხველო!

P.S. დიან, ინტერვიუ არ შესდგა, მაგრამ საზოგადოებისთვის ფრიად საინტერესო იქნება ბატონების შენგელიას და გიორგაძის მოსაზრება, უფრო სწორედ თავის მართლება ჩვენს წერილში წამოჭრილ კითხვებზე. გააკვეციტ ბატონებო, პასუხი!

ირინა ღარბია



ვამებს გაეცნობით, რომლებიც საგანგებოდ გამოგადგებათო! უამრავი სტატია წავეკითხე და მართლაც ძალიან ბევრი ახალი რამ გავიგე. გავიგე ის, რომ არის მწერალთა კავშირის წევრი. რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი. 1992 წლის ქვეყნის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო პრიზის „მამულის ერთგულებისათვის“ პირველი მფლობელი. ნ. ნიკოლაძისა და იუნესკოს პრემიების ლაურეატი. მინიჭებული აქვს ჟურნალისტთა ფედერაციის 4 პრიზი. აფხაზეთში ომის დროს, სამხედრო კორესპონდენტი.

- გავიგე ის, რაც მის შესახებ დიდმა ჭაბუა ამირეჯიბმა ბრძანა: „ფასდაუდებელია მ. ბერაძის დამსახურება ერის წინაშე, რადგან რომ დაინერგოს თუნდაც მეთაფი იმისა, რასაც იგი ქადაგებს, ცხოვრება საქართველოში გაცილებით გაიოლდებაო!“

- ისიც, თუ როგორი ალტაცებით შეაფასეს მისი საქმიანობა პროფესორებმა. წულაიამ და კახურაშვილმა: „ხალხს ეგონა,

როგორც არ არის, საგანგებოდ დაფებით, მზის სხივებით ინთება ნათურები, ამ შუქზე ტარდება წირვა-ლოცვა, რაც ჭეშმარიტად ღვთის სამსახურია და ამაში დიდი წვლილი სწორედ მერაბ ბერაძის მიუძღვისო!“

- სხვათა შორის, ვიცოდი, რომ მზის სისტემების პროპაგანდისათვის, რასაც ტელეკომენტატორი 45 წელზე მეტი ერთგულად ემსახურა, ამერიკელ ალბერტ გორს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული - ნობელის პრემია მიანიჭეს, მერაბ ბერაძეს კი, 2004 წელს საგულდაგულოდ ჩაურახეს სამსახურის კარები და ეს იყო უპატიებელი შეცდომა, რადგან იმხანად, ბევრ მეცნიერსა და გამომგონებელს ანთო მწვანე შუქი, აგუგუნდა ათეულობით მიკროელექტროსადგური და ბიოდანადგარი, მზით წყლის გამაცხელებელი, ქარის აგრეგატი. ხოლო გადაცემა რომ არ დაეხურათ, ეს ციფრები მინიმუმ გაათმაგდებოდა ახლა კი, დაეკონკრეტოთ, თუ რა დაკარგა საერთო ჯამში ქვეყანამ და თვითოეულმა ჩვენთაგანმა და ამისთვის გადავხე-

მუდმივად ექნება უფასო ელექტროენერჯია და ბუნებრივი აირი. ნაკლებად შეგვაწუხებს ზვავები, მეწყერები და წყალდიდობები. საგრძობლად შეჩერდება ტყის ბარბაროსული ჭრა, გამრავლება ფლორა და ფაუნა. გასუფთავდება უსამელოდ დაბინძურებული ჰაერი, უკან დაიხევს მრავალი ავადმყოფობა, გაიზრდება ჯანსაღი თაობა. დასაქმდება ათეულ ათასობით ადამიანი, რადგან ამოქმედდება უამრავი მცირე საწარმო და სათბური. სოფელს დაუბრუნდება ადგილობრივი მკვიდრი და შესაბამისად, უფრო დაცული იქნება სახელმწიფო საზღვარი. ბევრად გაიფრთხილება ცეცხლმოკიდებული ბაზარი, ტრანსპორტისგან შედარებით განთავისუფლება მსხვილი ქალაქები!“

ეს არის ამონარიდები ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიებიდან და რადიო-ტელევიზიაში გამოსვლებიდან რომელთა ავტორები არიან აკადემიკოსები: ალბერტ თავაშელიძე, ივერი ფრანგიშვილი, გიორგი კვეციანიძე, ჯუმბერ ლომინაძე, გურამ გველეხიანი

რა საიღუაგლოს გალავს მეგრული გვარები

რა საერთო აქვთ ბასკებსა და ქართველებს, ცალკე საკითხია, ფაქტი ის არის, რომ ბასკებს დღემდე ისეთი გვარები აქვთ, რომლებიც იგივე მეგრული გვარებია: დანელია, ლატარია, დუდუჩავა, ტყეზუჩავა, დუნდუა, ლოლუა, ნოდია, ასკურავა, ერიბერია, მელია, სულოგავა, აჩობია, მარია და ა.შ. თუმცა დღეს მათ წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი გვარის

შინაარსზე. ბასკები ბასკური ენის გაქრობის შემდეგ ხომ არ აიღებდნენ ბასკურ გვარებს?

იგივე მდგომარეობაა ხეთურ გვარებთან (არა მხოლოდ) დაკავშირებითაც: შარია, გახარია, ოდიშარია, პაჭკორია, თოფურია, ფაცაცია, ფილია, გვალია, ფიფია, ხუცი, შუხურია, მასხულავა, თაქაშთურია, ასიავა, არცავა, გამახარია და ა. შ

(დასასრული)
ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, რაგინდ სახელებით მოიხსენიონ აფხაზეთი, მისი ერთადერთი სწორი დასახელებაა „აფხაზეთი“, რაც მეგრული ტოპონიმია და „აფხა“ მეგრულად „ბეჭს“ ნიშნავს. ტერმინები „აფსნი“ და „აფსუა“ არც ერთ ძველ წყაროში არ მოიხსენიება, რაც გასაკვირი იმიტომ არ არის, რომ ისინი ხელოვნურად დაამკვიდრეს XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც მიზანმიმართულმა ანტიქართულმა პროცესმა აგრესიული ხასიათი მიიღო.

ლაღ საუბრობენ; შერვაშიძეების (შარაშია) საოჯახო ენა მეგრულია; ქრისტიანი აფხაზები ქართველები არიან, წარმართი აფხაზები – ჩრდილოეთ კავკასიელები; „ბა“-ბოლოკიდურანი გვარების (გუნბა, ქეცბა, თარბა და ა.შ) მქონე აფხაზები ქართველები არიანო და ა.შ.

აფხაზთა ერისთავმა შარაშიამ (შერვაშიძე) გადაწყვიტა აფხაზეთის საერისთავო სამეგრელოს მთავარ დადიანისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევად თითქმის ნებაყოფლობით შევიდა თურ-

XX საუკუნის დასაწყისში, საეკლესიო უწყების მიხედვით, აფხაზეთში ასეთი დემოგრაფიული სურათი იყო – დაახლოებით 80 000 მცხოვრებიდან 73 600 მართლმადიდებელი იყო. მათში ერია დაახლოებით 2 000 ბერძენი და 2 000 რუსი; 2 400 გრიგორიანელი სომეხი; 4 000 მუსლიმანი. ამ დროისთვის აფხაზეთის ტერიტორია, ფაქტობრივად, სოხუმიდან გაგრაამდე იყო, ვინაიდან, სოჭიტუაფსის რეგიონი რეალურად უკვე რუსეთის საზღვრებში მოიაზრებოდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძე-

VI-VII საუკუნეების მოღვაწეებზე, სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებზე. მათ შორის ასახელებენ პეტრე ხეციას და ივანე კახაბერს (ბრ. „ლაზები“, ი. სინარულიძე 1999 წ.)

„ხეცია“ მეგრული თავადური გვარია, რომლის ძირი სენაკშია, მაგრამ დღეს ამ ფორმით აღარ არის შემორჩენილი, „მხეიძე“ არის გაერცვლებული სამეგრელოსა და იმერეთში, თუმცა, სამეგრელოში „მხეიძეს“ დღესაც „ხეციად“ იცნობენ.

„კახაბერი“ ასევე, გვარია –



ქეთის მფარველობის ქვეშ და დაიწყო ჩრდილო-კავკასიელების ჩამოსახლება აფხაზეთში, რომელთაც სამეგრელოს მთავარის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა. ამ დროიდან გამომდინარე ჩერქეზულ-ადიგურთა მოღვაწის ხალხი აფხაზეთში და დაიწყო აფხაზეთის თანდათანობითი გაუცხოება. სხვათაშორის, თურქეთისა და ჩრდილო-კავკასიელების დახმარებით, აფხაზეთის საერისთავო ისე გაძლიერდა, რომ სამეგრელოს წაართვა ტერიტორია ენგურიდან სოხუმამდე. ლევან II დადიანმა შეძლო დაებრუნებინა (1611-57 წ.წ) წართმეული და კელასურთან დამცავი კედელიც ააშენა, მაგრამ XVII საუკუნის ბოლოს აფხაზეთის სამთავრომ ისევ წაართვა. აღსანიშნავია, რომ როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, სწორედ რუსეთმა ააღდგინა სამართლიანობა და ისევ დაუბრუნეს სამეგრელოს თავისი ტერიტორია სოხუმიდან ენგურამდე და ასე იყო კომუნისტურ ეპოქამდე.

ლოთ, ყველაფერზე ის გვარები საუბრობენ, რომლებიც დღემდე აქვთ არა მხოლოდ აფხაზეთში...

რა საერთო აქვთ ბასკებსა და ქართველებს, ცალკე საკითხია, ფაქტი ის არის, რომ ბასკებს დღემდე ისეთი გვარები აქვთ, რომლებიც იგივე მეგრული გვარებია: დანელია, ლატარია, დუდუჩავა, ტყეზუჩავა, დუნდუა, ლოლუა, ნოდია, ასკურავა, ერიბერია, მელია, სულოგავა, აჩობია, მარია და ა.შ. თუმცა დღეს მათ წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი გვარის შინაარსზე. ბასკები ბასკური ენის გაქრობის შემდეგ ხომ არ აიღებდნენ ბასკურ გვარებს?

იგივე მდგომარეობაა ხეთურ გვარებთან (არა მხოლოდ) დაკავშირებითაც: შარია, გახარია, ოდიშარია, პაჭკორია, თოფურია, ფაცაცია, ფილია, გვალია, ფიფია, ხუცი, შუხურია, მასხულავა, თაქაშთურია, ასიავა, არცავა, გამახარია და ა. შ

ლაზური თქმულებები სიყვარულით მოგვითხრობენ

კახას შვილი და უმნიშვნელო რაოდენობითაა შემორჩენილი, დაახლოებით 150 ადამიანი კახეთში, გურჯაანის რაიონში. გაცილებით მეტია ამ გვარიდან ნაწარმოები გვარები „კახაბერისძე“, „კახაბერიძე“, „კახაბრისძვილი“.

VII საუკუნიდან მარგვეთის საერისთავოს მფლობელებად უკვე მეგრული დიდებულები, ბაღვაშები ჩანან. „ბაღვაში“ ლაზური გვარია. აღსანიშნავია, რომ ბაღვაშებს იბერიის (ქართლის) სამეფოშიც ეკუთვნოდნენ კლდეკარის საერისთავო, ორბეთი, სკვირეთი და ატენი.

X-XI საუკუნეებში ცნობილი დიდი ერისკაცი, ქართველის ერისთავი იოანე მარუში, წყაროებში „მარუში-სძედ“ მოიხსენიება. „მარუში“ წმინდა მეგრულ-ლაზური გვარია, მაგრამ იმ ეპოქაში რადგან ქართლში მუდმივი გვარები არ იყო და გვარი მეორე სახელად მიაჩნდა, რაც ძირითადად მამის სახელი იყო (როგორც სხვა ქვეყნებში იყო მიღებული), ყვე-

ლა მეგრულ გვარს ბოლოში „ძე-ს“ უმატებდნენ: შარაშია – შარაშისძე, სანაია – სანაძე (სანი ჭანი), ჭანია – ჭანიძე, ხუჯია („მტრედი“ – მხარი) – ხუჯაძე და ა.შ.

დავუბრუნდეთ მოსაზრებას, საიდანაც დავიწყეთ, რომ მეგრული გვარების დაბოლოება „ია“ მშობლიური ქალაქის, ანუ პოლისის სახელწოდება უნდა იყოს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის ვარაუდით, სხვა მეგრული გვარების დაბოლოებებთან ერთად, თითქოს სვანური გვარების, კერძოდ, „იან“, „ვან“ და უან“ დაბოლოებების შეკვეცილი ფორმები იყო მეგრულ გვარებში, მაგრამ ბასკეთში მრავლად არსებულმა მეგრული გვარების იდენტურმა გვარებმა ეს მოსაზრება საფუძველამოცილი დატოვა.

„უა“ დაბოლოება, შესაძლოა, გამოხატავდნენ ქმედებას. მაგალითად: ჭკადუა – ჭედვა, ჭაჭუა – აკინძვა, ძიგუა – ამორტყმა, სიგუა – ბევრის ჭამა, ჩაჩუა – დაბერტყვა, გულუა – შემოვლება, გოგუა – დაბეჭვა, გაგუა – წაკვეთა, ხუჭუა – თავის მოკვლა, ლოლუა – შებოლება, ჩიჩუა – პეპლაობა და ა.შ. ზოგადად, „უა-ზე“ დაბოლოებული სიტყვებიც მოქმედებას გამოხატავს. მაგალითად, ჭარუა – წერა, ბორკუა – ბორკილის დადება, შოლუა – დასველება, ბონუა – დაბანვა და ა.შ.

„ყვა“ დაბოლოებით გვარებზე ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ თითქოს გურიაში მოხვედრილა რამდენიმე ჩერქეზული ოჯახი, რამაც განაპირობა აღნიშნული დაბოლოების ტოპონიმებისა და გვარების, მაგალითად: ართილაყვა, ჭანუყვა, ინგოროყვა, ლელეყვა, როყვა და ა. შ. გურიის სინამდვილეში წარმოჩნა. რა ვუყოთ იმას, რომ ჩერქეზულ ენაში „ო“ და „ვ“ ბგერები არ არის, ხოლო, მაგალითად, „ართილაყვაში“ ძირი „ართი“ მეგრულად „ერთია“; „ჭანუყვაში“ – „ჭანი“ ერთ-ერთი მეგრული ჯგუფია; „ონგოროყვაში“ – „ინგორს“ – იცოხნის და ა.შ? თვით „ყვა“, დღეს უკვე ძნელი დასადგენია, თავდაპირველად მეგრულად ყბა იყო თუ შუბლი, ანუ ვთქვათ, შეიძლება ართილაყვა „ერთყბიანს“ ნიშნავდეს ან „ერთშუბლიანს“; ჭანუყვა – „ჭანის ყბას“ ან „ჭანის შუბლს“...

რაც შეეხება მეგრული გვარების სხვა დაბოლოებებს, მათი არსი მეტ-ნაკლებად ცნობილია.

„ში“ კუთვნილების გამომხატველი დაბოლოებაა, რაც ასევე, მიგვანიშნებს ვისი შვილია ესა თუ ის პიროვნება. ბაღვაში – ბაღვას შვილი, ტულუში – ტულუს შვილი, ბაღაფში – ბაღას შვილი, ცარგუში – ცარგუს შვილი და ა.შ. გარდა ამისა, „ში“ დაბო-



ლოების მქონე ზოგ ლაზურ გვარს სამეგრელოსა და აფხაზეთში დაემატა ბგერა „ა“ და „კაში“ განდა კაშია, „ჯანაში“ – ჯანაშია, „აბაში“ – აბაშია, „მორგოში“ – მორგოშია, „გოთოში“ – გოთოშია, „ჯგვიში“ – ჯგვიშია, „სამუში“ – სამუშია და ა.შ.

ასევე, ვერისის სამეფოში იმერეთის, გურისის, რაჭისა და აჭარის წარმოჩენის შემდეგ (XIV-XV სს), „ში-ზე“ დაბოლოებულ გვარებს, მცირე გამონაკლისის გარდა, ბოლოში ყველას დაემატა „ძე“. ვთქვათ: „გეგეში“ განდა გეგეშიძე, „გურეში“ – გურეშიძე, „ნაკაში“ – ნაკაშიძე და ა.შ ამ რეგიონის ყველა გვარი, რომელშიც დაბოლოება „ძე-ს“ წინ ზის „ში“ მეგრული (კოლხური) გვარიდანაა ნაწარმოები.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო (არის) გვარის არასწორი ფორმით გადმოცემა, რადგან დაბოლოება „ში“ ისედაც ასრულებდა სწორედ იმ ფუნქციას, რომ ეთქვა, „ეს ვიღაც“ „იმ ვიღაცის“ შვილია...

„ბერი“ ძველ მეგრულში ნიშნავდა შვილს, უფრო – ვაჟიშვილს; „თუთაბერი“ ნიშნავს „თუთას“ – მთავარს, მთავარ ვაჟს. კაკუბერი – კაკუს ვაჟი; ღოღობერი – ღოღოს ვაჟი; კობერი – კოს ვაჟი და ა.შ.

„ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებს სამეგრელო-გურიაში დაბოლოებაზე დაემატა „ა“ ბგერა და ვთქვათ, გიგბერი განდა გიგბერია, ქურბერი – ქურბერია, სულაბერი – სულაბერია, ჩაკაბერი – ჩაკაბერია და ა.შ.

იმერეთ-გურია-რაჭა-აჭარაში „ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებს ბოლოში დაემატათ „ძე“ და ვთქვათ, ღოღობერი განდა ღოღობერიძე, გიგბერი – გიგბერიძე, კობერი – კობერიძე და ა.შ არადა, „ბერი-ზე“ დამთავრებულ გვარებზე კიდევ „ძე-ს“ დამატება აბსურდული ფორმაა, ვინაიდან „ბერი“ ისედაც ნიშნავს ძეს და რას ვიღებთ, ვთქვათ, ღოღობერი-ს, ან გოგობერი-ს, ლოსაძე-ს და ა.შ.

„სკირი“ დაბოლოებას „შვილ-ს“ ნიშნავდა ძველ

მეგრულში. ამჟამად ამგვარი დაბოლოების გვარები ძალზე ცოტაა. მაგალითად: წულუ-ისკირი – წულუს შვილი, კვიკ-ვესკირი – კვიკვეს შვილი და ა.შ.

„ჭკორი“ ნიშნავს ყმას. ამ დაბოლოებისა მხოლოდ სამი გვარიღაა შემორჩენილი: გეგეჭკორი – გეგეს ყმა, ვადაჭკორია – ვადას ყმა და პაჭკორია – პას ყმა.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი წელთაღრიცხვის კოლხეთის (ვერისის) სამეფოში 20-ზე მეტი სხვადასხვა ტომი სახლობდა რომლებიც წარმოადგენდნენ ერთ ტერიტორიულ ჯგუფს და საუბრობდნენ მშობლიური ენის სხვადასხვა დიალექტზე. შესაბამისად, ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი უმკვიდრდებოდა.

ძველ მეგრულში შვილს ერქვა „სქუა“, „ბერი“ და „სკირი“, მაგრამ სამეგრელოში დღეს მხოლოდ „სქუას“ ამობენ, „ბერი“ და „სკირი“ კი ლაზეთში და ჭანეთში შემოინახა, რომელიც რვა საუკუნეა მოწყდა მშობლიურ ხალხს.

სრულიად შესაძლებელია, მეგრული გვარები გაჩენილიყო იმ ეპოქაში, როდესაც მეგრულ ენას 20-ზე მეტი დიალექტი ჰქონდა და სწორედ ამიტომ მიეღო სხვადასხვა დაბოლოებები. მითუმეტეს, რომ ვერისის სამეფოში ეს ტომები ახალი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებშიც კი იყვნენ შემორჩენილები.

„ბა“ დაბოლოების გვარები ვახსენეთ – არქიმანდიტრი ანტონის XIX საუკუნის 40-იან წლებში შედგენილი დოკუმენტით ცნობილი ხდება „ბაია-სუფიქსიანი“, ამჟამად გამქრალი მეგრული გვარები: ჭანუნ-ბაია, ძინძიბაია, ვიბაია, აპბაია, ლაწიბაია, შანბაია, აკიშბაია, ტელენბაია, კავშიბაია, ტუი-ბაია, კონტბაია, ჯივისბაია, ტვიშბაია, უშობაია, ლულშ-ბაია, აშურბაია – ისინი, ყველანი ქრისტიანები არიან.

ამდენად, „ბა“ დაბოლოების წარმოშობის გვარი არ არსებობს, ყველა მათგანი სახელია, რომელიც შემდგომში განდნენ

გვარები გვარის მაწარმოებლის დართვით.

მთელ საქართველოში უამრავი სახელია რომელიც „ბა-ზე“ ბოლოვდება და შემდეგში მისგან იწარმოა გვარი. მაგალითად, ბარაბა – ბარაბაძე – ბარაბაძე; აბა – აბაიძე – აბაში – აბაშია; კობა – კობაძე – კობაზია – კობაური – კობაშვილი და ა.შ.

XX საუკუნეში, როცა გამიზნულად დაიწყო მეგრელების გააფხაზების პროცესი, ცდილობდნენ გვარებისთვის აფხაზური სტილი მიეცათ, თუმცა, როგორც ვხედავთ, გვარების მეგრული შინაარსის შეცვლა უმრავლეს გვარში შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგალითად, არდაა განდადეს არდაბა (ძველ მეგრულად „მზე“); თირქია – თირქბა (მეგრულად „დარტყმა“); კუჭაგა – კუჭბა („კუჭი“ მეგრული სიტყვაა); ბალია – ბაბლა („ბალი მეგრული სიტყვაა“) და ა.შ.

ერთ-ერთი ფორმა მეგრულ გვარზე დასაწყისში „ა“ ბგერის დამატება იყო, როგორც ახასიათებს აფხაზურ არსებით სახელებს, მაგრამ ცხადია, მეგრული შინაარსი ვერც ამან შეცვალა. მაგალითად, ჯინჯოლია განდადეს აჯინჯალი („ჯინჯი“ – მეგრულად, ფესვი); შხვა-ცაბაია – აშხვა-ცაგა („შხვა-ცა“ – სხვა ცა); ბულისკირია – აბულისკირი (მეგრულად – „ბულის სკირი“) და ა.შ.

სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ გვარების გადაკეთების დროს, არავის გადაუკეთებია მეგრულად და აი რატომ: ფიქრობდნენ, რომ საქართველოში „ჭკმშარიტი ქართული წარმომავლობის“ მხოლოდ „ძე-ზე“ და „შვილზე“ დაბოლოებული გვარების მატარებლები არიან. ამან განაპირობა ისიც, რომ არც ერთ ებრაელს, მათ შორის სამეგრელოში მცხოვრებსაც კი, მეგრული გვარი არ აუღია. ასევე, სომხებს, რომლებმაც გვარი ქართულად გადაიკეთეს, მეგრული გვარი არ აუღიათ. როგორც ჩანს, მათ მიანდათ (მიანდათ) რომ მეგრული გვარი არ იძლეოდა სრულ გარანტიას იმისას, რომ ისინი ქართველებად აღექვათ. უფრო მეტიც – XIII-XV საუკუნეებში, ვერისის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე (იმერეთი-გურია-რაჭა-აჭარა), სადაც მეგრელების რაოდენობა 75%-მდე იყო, მეგრელებმა მასობრივად გადაიკეთეს გვარები, თუმცა მეგრული შინაარსი უცვლელი დარჩა. დღეს ამ რეგიონებში მხოლოდ 10%-მდეა შემორჩენილი მეგრული გვარები.

ცნობისათვის, ინგლისურ ენაში 500 000-მდე სიტყვაა და გინესის წიგნშია შეტანილი, მეგრულში კი მილიონობით სიტყვაა... (დემეტრა გაანათლოს ორი დიდი კოლხი სული, ბატონები კლიმენტი შელია და ანზორ შონია, რომლებთან ნაუბარიც, მოკლედ, მაგრამ მკითხველამდე მოვიტანე).

ბიორგი ჩხეიძე

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მიშარისა კვიციანი
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



– როდის გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

– მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *
– რა შემთხვევაში შეიძლება აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 64. პატიმრობა

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების გან-

ხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

2. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავების 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. თუ არასრულწლოვანი ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

4. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

* * *
– გარდამეცვალა ძმა. მისი სახლი დარჩა მის მეუღლეს და შვილს. მე, როგორც დას, მეკუთვნის თუ არა წილი?

– არა.
თქვენი ძმის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან მეუღლე და შვილი / ასევე, მშობლები, თუ ისინი ცოცხლები არიან. და ან ძმა არის მეორე რიგის მემკვიდრე. მეორე რიგის მემკვიდრე მემკვიდრეობის ქონებას მიიღებს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც მეორე რიგის მემკვიდრე, გარდაცვლილი ძმის სამკვიდროდან წილს ვერ მიიღებთ.

უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი - ჯანდაბანი-გაბოჭი

ჩლიქინა ბიჭუნა

უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი ქვეყანას 1874 წლის 30 ნოემბერს მოველინა ოქსფორდშირის საგრაფოს ქალას ბლანიმ-პელისში. ჩერჩილის ოჯახი ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ოჯახად ითვლებოდა – ბიჭუნას მამა მალბოროს პირველი პერტოვის ჯონ ჩერჩილის შთამომავალი იყო.

საინტერესოა უინსტონ ჩერჩილის დაბადების ისტორია. მისი დედა, რომელსაც ძალზე უყვარდა გართობა, ორსულობის მეცხრე თვეზე მეჯლისზე გაემგზავრა. ქალი სიამოვნებით ცეკვავდა, როდესაც იგრძნო, რომ სამშობიარო ტკივილები ეწყებოდა. ლედი ჩერჩილი ქალთა გასახდელში დივანზე წამოაწვინეს და იქვე გაჩნდა მილიონიანი ქონების მემკვიდრე (სწო-

ბიჭუნა ჩლიქინებდა და ენაბლე იყო, ამასთან, მას ძალზე უყვარდა ლაპარაკი. ჩერჩილი არ გამოირჩეოდა სწავლის მიმართ დიდი მონდომებით, არ უყვარდა მათემატიკა და ეს სიძულვილი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. სამაგიეროდ, ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა და შესანიშნავად სწავლობდა ლიტერატურას, ინგლისურ ენასა და ისტორიას.

ბიჭუნას ბეჯითობაში ხელს უშლიდა სიზარმაცე, ამიტომ სკოლაში ჩამორჩენილ მოსწავლედ ითვლებოდა. მის მამას ეს ძალზე ადვილებდა, რადგან ინგლისში განათლება ძალზე ბევრს ნიშნავდა. მამა დარწმუნებული იყო, რომ შეილი ვერასოდეს შეძლებდა ბრწყინვალე კარიერის შექმნას და გადაწყვიტა, რომ ვაჟი პაროუს სკოლის დასრუ-

ლების შემდეგ ჩერჩილი ინდოეთში მიემგზავრება, სადაც მუშაობას იწყებს „მალაკალანდის საველე ნაწილების ისტორიაზე“ – ეს იყო მისი სერიოზული ისტორიული ნაშრომი. იქვე, ინდოეთში, უინსტონ ჩერჩილმა დაწერა თავისი ერთადერთი მხატვრული ნაწარმოები: „საგროლა, ისტორია ლაურანის რევოლუციის შესახებ“.

1899 წელს ჩერჩილმა გადაწყვიტა, თავი პოლიტიკურ ასპარეზზე მოესინჯა – მან საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა პარლამენტში კონსერვატიული პარტიიდან, მაგრამ წინასწარჩენო კამპანია წააგო. ჩერჩილს ფარ-ხმალი არ დაუყვარა, იგი მხიარული ბუნების ოპტიმისტი ადამიანი გახლდათ. უინსტონს ყოველთვის სჯეროდა, რომ მას შესანიშნავი მომავალი ელოდა და კვლავ პოლიტიკოსობაზე ოცნებობდა. იგი ამბობდა: „ჯობს, ახალი ამბები აკეთო, ვიდრე მათ შესახებ მოუთხორო ადამიანებს“. ჯერჯერობით კი იგი ინგლისელებისა და ბურების ომში გაემგზავრა კვლავ კორესპონდენტად. ამჯერად მას ბევრი მიმეგანცხადელის გადატანა მოუხდა. ჩერჩილი ბურებთან მოხვდა ტყვედ, რამდენიმე თვე ციხეში გაატარა და შემდეგ გაიქცა. ტყვეობას თავი სატვიტო ვაგონით დააღწია.

მომავალი პრემიერ-მინისტრი ინგლისში ნაციონალურ გმირად დაბრუნდა – იგი იყო ბრწყინვალე ჟურნალისტი და ადამიანი, რომელმაც ბევრი თავგადასავალი გადაიტანა. იმავე 1900 წელს ჩერჩილმა კვლავ წარადგინა საკუთარი კანდიდატურა საპარლამენტო არჩევნებში და ამჯერად შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის ახალგაომცხვარი წევრი მხოლოდ 26 წლის იყო...

გულმა მეუღლემ მას ოთხი შვილი აჩუქა – სამი ქალიშვილი და ვაჟი...

მსოფლიო კრიზისი

1916 წელს ინგლისში მთავრობა შეიცვალა და ჩერჩილი კვლავ პოლიტიკურ მწვერვალზე აღმოჩნდა – მან დაიკავა შეიარაღების მინისტრის პოსტი. სწორედ იგი კურიერება ბრიტანული ტანკების წარმოებას.

ომის დასრულების შემდეგ ჩერჩილი თავდაცვის მინისტრად გადაიყვანეს, სადაც მის მთავარ პრობლემად იქცა ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლა. იგი დაკვირვებით ადევნებდა თვალს ქვეყანას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მის თავისტიკვილად იქცევა. დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ მან წარმოთქვა ლეგენდარული ფრაზა: „ბოლშევიკები საკუთარ თავს უქმნიან სირთულეებს, რომლებსაც წარმატებით გადალახვენ ხოლმე“.

პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწის დაძაბული ცხოვრება ჩერჩილს დიდ დროს ართმევდა, მაგრამ, ამასთან, იგი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩერჩილი მუშაობდა წიგნზე „მსოფლიო კრიზისი“, რომელიც მოგვიანებით ისტორიაში საუკეთესო სამხედრო მემუარებად აღიარეს.

ნობელის პრემიის ლაურეატი

1940 წლის 10 მაისს მეფე გეორგ VI უინსტონ ჩერჩილი პრემიერ-მინისტრად დანიშნა.

პრემიერის პოსტზე მისი პირველი ნაბიჯი იყო თავდაცვის მინისტრის პოსტის დაარსება, რომელიც თვითონვე დაიკავა და გააერთიანა ფლოტის, არმიისა და სამხედრო



ლიო ომში მოკავშირეთა ჯარების მონაწილეობის საქმეში, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ინგლისისა და ამერიკის კავშირი ბევრად განაპირობა ჩერჩილისა და ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის პირადმა მეგობრობამ... მეორე მსოფლიო ომის წლებში უინსტონ ჩერჩილის მეუღლე კლემენტინა ხელმძღვანელობდა „რუსეთის დახმარების ფონდს“. იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით. კლემენტინა ჩერჩილი 1945 წლის აპრილში მოსკოვშიც იყო ჩამოსული.

სტალინი და ჩერჩილი ერთმანეთს რამდენიმეჯერ შეხვდნენ – ორჯერ რუსეთში და თეირანის, იალტის და პოტსდამის კონფერენციებზე. ჩერჩილი აფასებდა სტალინის დამსახურებას პიტლერული გერმანიის ბატონობისგან მსოფლიოს გადარჩენისა და საბჭოთა კავშირის წინაშე დამსახურების გამო.

პრემიერ-მინისტრად მეორედ არჩევისას მას ჯანმრთელობის ბევრი პრობლემა ჰქონდა (ინსულტი, გულის უკმარისობა, სმენის დაქვეითება, ეჭვმა). 1953 წელს მას მარცხენამხრივი დამბლა დაემართა და თანამდებობა მხოლოდ ნომინალურად შეინარჩუნა.

1955 წლის 5 აპრილს უინსტონ ჩერჩილი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობიდან გადადგა.

თადარიგში გასვლის შემდეგ ჩერჩილმა განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა და, ამასთანავე, იგი ფერწერაზეც გაიქცა. როგორც აღმოჩნდა, უინსტონ ჩერჩილს მხატვრობის დიდი ტალანტიც ჰქონდა.

ასე გაატარა უინსტონ ჩერჩილმა სიბერე – ქმნიდა მხატვრულ ნაწარმოებებს და ფერწერულ ტილოებს.

უინსტონ ჩერჩილი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე ათასობით ადამიანი მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალებიდან მრავალი წელი გავიდა, მისი სახელი კვლავ XX საუკუნის სიმბოლოდ რჩება.

მოამზადა
ბელა გველმსიანი
568 90 81 22



რედ ამ მილიონებმა მისცა უინსტონ ჩერჩილს საშუალება, ზრდასრულ ასაკში ეხუმრა: „ფულის დაგროვება სასარგებლოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უკვე გააკეთეს თქვენმა მშობლებმა“).

აურაცხელი სიმდიდრის წყალობით ბიჭუნას გარს ეხვია საუკეთესო გუვერანტები და მასწავლებლები. მაგრამ თავის ნამდვილ მასწავლებლად პატარა უინსტონი ძიძას, ელიზაბეთ ენ ევერეტს თვლიდა, რომელიც მას პატარაობიდან ზრდიდა. ვიდრე მშობლები სტუმრად დაბრძანდებოდნენ და მეჯლისებზე ერთობოდნენ, ბიჭუნა მთელ დროს ძიძასთან ატარებდა, რომელიც ყველა ნათესავზე მეტად უყვარდა. ძიძის პორტრეტს ჩერჩილის ყველა კაბინეტში ნახავდით, მისი მამისა და დედის პორტრეტებისგან განსხვავებით...

ოჯახურმა სიმდიდრემ კარგი ნაყოფი გამოიღო – პაროუს პრივილეგიურულ სკოლაში, სადაც შეიდი წლის უინსტონი გაემგზავნეს, იგი მასწავლებლებს შესანიშნავი აღზრდით აოცებდა.

უინსტონის მომხიბლველობისა და სიმდიდრის წყალობით, არავინ აქევედა ყურადღებას მის ნაკლს –

ლების შემდეგ სამხედრო სკოლაში გაემწეებინა, რადგან იქ დიდი სწავლა-განათლება არ იყო საჭირო.

სამხედრო კორესპონდენტი

1893 წელს უინსტონ ჩერჩილი სახმელეთო ჯარების სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, რომელიც 1895 წელს დაასრულა. იმავე წელს ახალგაზრდის ცხოვრებაში პირველი სერიოზული უსიამოვნება მოხდა – გარდაიცვალა მისი მამა და უინსტონი უბუღბული გახდა, ოჯახის უფროსის მოვალეობა ეკისრა, პარალელურად, სამხედრო სამსახურსაც ეწეოდა. ჩერჩილი ჰუსართა მეოთხე პოლის ოფიცერი იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სამხედრო სამსახური მას ნაკლებად იზიდავდა. უინსტონმა იგრძნო, რომ მას სულაც არ უნდოდა ომი და ოცნებობდა საკუთარი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები გაეზიარებინა სხვებისთვის. მან გადაწყვიტა, რომ თადარიგში გასულიყო და გაემგზავრა კუბაზე გაზეთ „დილივი გრაფიკის“ სამხედრო კორესპონდენტად. სწორედ კუბაზე დაიწყო სიგარის მოწევის, რაც მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.



დაიწყო პოლიტიკოსის მჩქეფარე ცხოვრება თავისი სირთულეებითა და ნერვული დაძაბულობებით.

1906 წელს ჩერჩილი კონსერვატიული პარტიიდან გავიდა არსებული საგადასახადო სისტემის გამო და ლიბერალურ პარტიაში შევიდა. მალე ჩერჩილმა ვაჭრობის მინისტრის პოსტი დაიკავა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან მიაღწია სამუშაო დღის შემცირებას, მინიმალური ხელფასის ზღვარის დანიშნებას და უმუშევრობის შემწეობის გადახდას.

ინგლისმა შეიყვარა ახალგაზრდა პოლიტიკოსი, რომელიც ამასთანავე, არ იძლეოდა ბინძური სკანდალების საბაბს. 1908 წელს ჩერჩილმა ცოლად შეირთო კლემენტინა ზოზიერი, რომელთანაც ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრება განვლო. ერთ-

საპაერო ძალების სამხედრო მოქმედებების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია

მემუარისტის უნარები ძალზე გამოადგა ჩერჩილს, როდესაც დიდი პოლიტიკური წინააღმდეგობების შემდეგ კვლავ იძულებული გახდა, თადარიგში გასულიყო. იძულებითი დასვენების პერიოდში მან დაწერა უდიდესი გამოკვლევა თავისი წინაპრის შესახებ „მალბორო: მისი ცხოვრება და დრო“. მაგრამ, როგორც კი მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ჩერჩილი კვლავ მთავრობაში აღმოჩნდა – კრიზისების დროს ირკვეოდა, რომ ინგლისისთვის ჩერჩილი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო.

საყოველთაოდ ცნობილია ჩერჩილის როლი საბჭოთა კავშირისთვის დახმარებისა და მეორე მსოფ-



„საერთო გაზეთის“
რედაქცია დაბადების
დღეს ულოცავს
ჟურნალისტ
ჯულიეტა როგავას
და უსურვებს
ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, წარმატებებს
პირად და საზოგადოებრივ
ცხოვრებაში.

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალი-დასავალის“
სტამბაში. აგაპის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com